პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეცამეტე

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—38—17, სამდივნოს 10—58, მთ. კანტორის—8—81.

ხუთშაბათი, 28 სექტემბერი 1933 წ. № 224 (3780)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა მოსავლის განაწილებას კოლმეურნეობებში

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას იანვრის პლენუმის და ამხ. სტალინის მითითებათა სწორად გატარების საფუძველზე ჩვენ მივაღწიეთ დიდ წარმატებებს კოლმეურნეობათა სამეურნეო, ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცების საქმეში. მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული კოლმეურნეობების გასაწმენდად უცხო, მტრული ელემენტებისაგან, განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გაუმჯობესდა ხარისხობრივი მაჩვენებლები, მნიშვნელოვნად შეიცვალა კოლმეურნეთა დამოკიდებულება საკოლმეურნეო შრომისა და ქონებისადმი და ყველა ამ საფუძველზე გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და მოსავლიანობა კოლმეურნეობებში.

ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა მოგვეპოვებინა მნიშვნელოვანი წარმატებები ყველა კოლმეურნეთა შეძლებულად გადაქცევისათვის. უკვე თითზე ჩამოსათვლელი აღარაა ჩვენში მოწინავე ბოლშევიკური და სავსებით რენტაბელური კოლმეურნეობები. მარცვლეულის და ტექნიკური კულტურების მთელ რიგ რაიონებში, გასულ წელთან შედარებით ერთი ორად და სამად გაიზარდა კოლმეურნეთა შრომა-დღის ფაქტიური ანაზღაურება. ეს მოწმობს საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცების საქმეში მიღწეული უდიდეს წარმატებას.

ამჟამად მწვავედ იჭრება კოლმეურნეთა შორის მოსავლის შრომადღეების მიხედვით **სწორად** განაწილების საკითხი. ამ საქმეს დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. იგი მოითხოვს ფხიზელ მეთვალყურეობას და მტკიცე პარტიულ ხელმძღვანელობას.

ს. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება, კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილების შესახებ, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, სახავს იმ ღონისძიებებს, რომელიც უნდა გატარდეს მოსავლის სწორად განაწილების უზრუნველსაყოფად.

კლასობრივი მტრები, ზარმაცები, კულაკური და სხვა კონტრრევოლუციონური ელემენტები ცდილობენ ხელი წაუპოტინონ საკოლმეურნეო მოსავალს, — ისინი მიმართავენ ყველა ზომებს, იმისათვის, რომ აშკარად, ან ფარულად, ძალადობით, ან თვალთმაქცობით შეძვრენ კოლმეურნეობაში და წილი დაიდონ კოლმეურნეთა მოსავლის განაწილებაში. გარდა ამისა მოსავლის განაწილებაში, რომ მთელ რიგ დამახინჯებებს შეიძლება მომავალშიც ექნეს ადგილი, ამას მოწმობს მოსავლის განაწილების მიმდინარეობაზე ადგილებიდან მიღებული ცნობები.

თავდაპირველად აღსანიშნავია კულაკური გათანაბრების ფაქტები, რომელსაც ადგილი აქვს ზოგიერთ კოლმეურნეობებში. ავიღოთ მაგალითისათვის ზნაურის რაიონის (სამხრეთ-ოსეთი) კოლმეურნეობები. ამ რაიონის კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობაში **კოლმეურნეებს შრომა-დღე ეწერება თანაბრად.** რაიონის კოლმეურნეობათა 90 პროცენტს შრომის წიგნაკებში ჩაწერილი აქვთ ერთი და იმავე რაოდენობის (120) შრომა-დღე. **დუშეთის და თიანეთის** რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ავანსები რიგდება არა დახარჯული შრომა-დღეების, არამედ საჭიროების, სულადობის და **სხვ.** მიხედვით. იმავე დუშეთის, თიანეთის და აგრეთვე ტფილისის გარეუბნის კოლმეურნეობებში არის შემთხვევები, როდესაც შრომა-დღეების შრომის წიგნაკებში ჩაწერა მინდობილი აქვს არა ბრიგადირს, როგორც ეს დადგენილია, არამედ მოანგარიშეს. არის აგრეთვე მრავალი შემთხვევები, როდესაც კოლმეურნეთა შრომის წიგნაკები ჯერ კიდევ კოლმეურნეობათა კანცელარიებში ყრია და შევსებული არ არის.

ცხადია, ყველა ეს ნაკლოვანებანი ხელს უშლის შრომა-დღეების სწორად აღრიცხვას, მოსავლის წესისამებრ განაწილებას და ჰქმნის მოსავლის განაწილებაში მრავალ დამახინჯებათა განმეორების საშიშროებას.

ამიტომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა და პირველ რიგში პოლიტგანყოფილებებმა თავიანთი ყურადღების ცენტრში უნდა მოაქციონ როგორც შრომის, ისე **მოსავლის ზუსტათ აღრიცხვის დაუყოვნებლივ მოწესრიგება.** თითეულ კოლმეურნეობაში მოსავლის განაწილების დაწყებამდე **გულდასმით უნდა იქნას აღრიცხული მოსავლის და დახარჯული შრომა-დღეების რაოდენობა.** კოლმეურნეთა შრომა-დღეები სისწორით უნდა ჩაიწეროს მათ შრომის წიგნაკში და შეტანილი იქნას პირად ანგარიშებში, როგორც მოსავლის, ისე შრომა-დღეების აღრიცხვასა და შეჯამებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კოლმეურნეთა **სარევიზიო კომისიებმა.** მათ უნდა ამხილონ და მისცენ პასუხისგებაში ყველა ის, ვინც შეეცდება არივ-დარიოს ანგარიშწარმოება კოლმეურნეობაში და მიითვისოს კოლმეურნეობის მოსავალი.

მთავარი და ძირითადი პრინციპი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ — ესაა შემდეგი: **მოსავლის განაწილება შრომა-დღეების მიხედვით იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთლიანად შესრულებული იქნება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების დავალება, ნატურით აუნაზღაურდებათ ნამუშევარი სამანქანო - სატრაქტორო სადგურებს, კოლმეურნეობები დააბრუნებენ სახელმწიფოსაგან მიღებულ სესხს და გამოიყოფა კოლმეურნეობათათვის საჭირო ფონდები** საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე.

ა-კ. სამხარეო კომიტეტის მითითებათა საფუძველზე **პოლიტსამმართველოებმა** ფხიზელი თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ კოლმეურნეობათა მმართველ აპარატებში მომუშავე პირებმა ბოროტად არ გამოიყენონ თავიანთი მდგომარეობა, არ გაიბეროს ადმინისტრატიული სამმართველო ხარჯები. მტკიცედ უნდა შესრულდეს მითითება იმის შესახებ, რომ **არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კოლმეურნეობის აპარატში მომუშავე თანამდებობის პირმა შრომა-დღეზე მიიღოს იმაზე მეტი მოსავალი ნატურით, ვიდრე იღებს საუკეთესო კოლმეურნე.** პოლიტგანყოფილებებმა უნდა უზრუნველყონ ადმინისტრატიული სამეურნეო ხარჯების შესახებ ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიერ დაწესებული ნორმების მტკიცედ დაცვა თითეულ კოლმეურნეობაში.

მოსავლის განაწილებასთან დაკავშირებით ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების და კერძოდ პოლიტგანყოფილებების ძირითად საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს დაუზოგავი ბრძოლა გათანაბრების კულაკურ ტენდენციებთან, ზარმაცებთან, მტაცებლურ - მომხმარებლურ განწყობილებებთან. საქმე დაყენებული უნდა იქნეს ისე, რომ საკავშირო ცაკის მესამე სესიის დადგენილების თანახმად, **ცალკე საკოლმეურნეო ბრიგადას შრომა-დღეების საერთო რაოდენობა 20 პროცენტის ფარგლებში უდიდდებოდეს, ან უმცირდებოდეს იმის მიხედვით, თუ როგორ წარმატებით მუშაობდა მთელი ბრიგადა, როგორ დაიცვა ბრიგადამ ხარისხობრივი მაჩვენებლები და როგორია საბოლოო შედეგი — სამეურნეო ეფექტიანობა.**

გასულ წელს იყო მრავალი ფაქტები, როდესაც კოლმეურნეობიდან მოსავალს ღებულობდენ შემთხვევითი პირები. ეს კი ამცირებდა მოსავლის იმ ნაწილის რაოდენობას, რომელიც უნდა განაწილებულიყო შრომა-დღეების მიხედვით. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა განმეორდეს. არ შეიძლება საკოლმეურნეო მოსავლიდან ქირნახული მიეცეს იმას, ვისაც — არავითარი კავშირი არ აქვს კოლმეურნეობასთან, ვინც უშუალოდ არ იღებდა მონაწილეობას საკოლმეურნეო შრომაში. კოლმეურნეობის მოსავლის განაწილებაში შემთხვევითი პირთა წილის დადება უნდა აიხსნას როგორც საკოლმეურნეო ქონების მტაცებლობა და დამნაშავენი უნდა მიეცნენ სასტიკ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

სოფლის პარტიული ორგანიზაციები და პოლიტგანყოფილებები ახლავე უნდა შეუდგნენ მოსავლის განაწილების მიმდინარეობის **შემოწმებას,** სასწრაფო წესით უნდა გამოასწორონ ამ **საქმეში** დაშვებული შეცდომები, მათ უნდა გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოლმეურნეთა შორის, დარაზმონ საკოლმეურნეო აქტივი, აღკვეთონ მოსავლის განაწილების გაჭიანურება და უზრუნველყონ ამ საქმეში **პარტიული ხაზის განუხრელად გატარება.**

მოსავლის სწორად განაწილებამ შედეგად უნდა მოგვცეს კოლმეურნეთა მასების საწარმოო ენთუზიაზმისა და პოლიტიკური აქტივობის ახალი აზვირთება, სახელმწიფოებრივ დავალებათა ვადაზე შესრულება, სათესლე დამზღვევი და საფურაჟო ფონდების გამოყოფის **დაჩქარება,** საშემოდგომო თესვის, სამუშაოთა ტემპების გადაჭრით გაძლიერება, შრომის ნაყოფიერების აწევა და საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განმტკიცება.

კოლმეურნეთა შორის მოსავლის განაწილების ფართო პოპულარიზაციამ მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა შორის შედეგად უნდა მოგვცეს ღარიბ და საშუალო გლეხთა ახალი მასების გაძლიერებული ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ.

ყოველივე ეს მიღწეულ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტგანყოფილებები და სოფლის პარტიული ორგანიზაციები ბოლშევიკურად ჩაუდგებიან სათავეში მოსავლის განაწილების კამპანიას, აღკვეთენ ამ დარგში მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკას და „მემარცხენე“ გამრუდებებს, დარაზმენ საკოლმეურნეო აქტივს, კონკრეტულად უხელმძღვანელებენ თითეულ კოლმეურნეობას და გააჩაღებენ გამანადგურებელ ბრძოლას კულაკური ელემენტების და საკოლმეურნეო მოძრაობის სხვა მტრების წინააღმდეგ.

ლეიპციგის პროცესი

კომპარტიისათვის წაყენებული ბრალდება გაბათილებულია

ვან-დერ-ლუბეს ხელახალი დაკითხვა ბრალმდებლებისათვის მარცხით დამთავრდა

ბერლინი, 26 სექტემბერი. 25 სექტემბრის სხდომის დასასრულს ლეიპციგის სასამართლო ბრალდებულთა ვინაობის გამორკვევიდან გადავიდა რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების გარემოებათა გამორკვევაზე. პირველად დაკითხულ იქნა ვან-დერ-ლუბე. დაკითხვის დაწყების წინ თავმჯდომარე ბიუნგერი, მიმართავს რა ვან-დერ-ლუბეს, „ურჩევს“ უპასუხოს კითხვებზე, ხოლო შემდეგ წინადადებას აძლევს „მაგრად დაიჭიროს თავი“ და ებრძოლოს თავის „დაუძლურებას, თუ მას ნამდვილად ადგილი აქვს“. თავმჯდომარემ მოაგონა ვან-დერ-ლუბეს, რომ თუ იგი ნათელ პასუხს არ გასცემს, მაშინ სასამართლო იძულებული იქნება აღადგინოს მისი წინანდელი ჩვენება, და აცხადებს: „წინად თქვენ არა ერთხელ გაგიციათ პასუხი თითეულ კითხვაზე. ადგილი არ ჰქონია ამას, რაც ახლა თქვენ გემართებათ, როცა გაჭირვებით გვიხდება თქვენგან პასუხის მიღება. პასუხს იძლეოდით ძალიან ცოცხლად, ნებაყოფლობით, მაშინაც კი, როცა კითხვას არ გისვამდენ. გსურთ თუ არა შემდეგშიც ასე მოიქცეთ?“ ბრალდებული თანხმობის ნიშნად თავს იქნევს. ჩვენებაში ვან-დერ-ლუბე აღიარებს, რომ 22 თებერვალს იგი იყო ნეიკელნის სოციალური მეურვეობის განყოფილებაში, სადაც მრავალ უმუშევარს ესაუბრა (ლაპარაკია სოციალური მეურვეობის იმ განყოფილებაზე, რომლისათვის ცეცხლის წაკიდებასაც ვან-დერ-ლუბე ვითომ ცდილობდა 24 თებერ. ვანდერ-ლუბე დაესწრო ბიულოფპლაცზე. სოციალ დემოკრატების მიერ გამართულ კონცერტს. თავმჯდომარე შემდეგ კითხულობს პოლიციური კვლევა-ძიების ტექსტს. როგორც ვოლფის სააგენტო იტყობინება, ვან-დერ-ლუბე თავმჯდომარის მიერ მიცემულ კითხვებზე იძლევა ერთი მეორის საწინააღმდეგო პასუხს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პროცესის პირველ დღესაც“.

შემდეგ „ბერლინერ ბერზენცეიტუნგის“ გადმოცემით, ვან-დერ-ლუბემ განაცხადა: მე შემეძლო გამომეთქვა აზრი, რომ კომპარტიის ტაქტიკა უმართებულო და არასაკმაოდ ენერგიულია. შესაძლებელია აგრეთვე, რომ იგი, ვან-დერ-ლუბე, თავს კომუნისტად ასაღებდა. შემდეგ ბრალდებულს წაუკითხეს ჩვენება ვიღაც იანიკესი, რომლისაგან ვან-დერ-ლუბე გაზეთს ყიდულობდა და რომელსაც, ვითომ, განუცხადა, რომ იგი ჰოლანდიელია და ჩამოვიდა გერმანიაში, რათა გაეცნოს პოლიტიკურ ამბებს. იანიკე აქედან დაასკვნის, რომ ვან-დერ-ლუბე „გამოგზავნილია ჰოლანდიელი კომუნისტების მიერ“. ვან-დერ-ლუბე „ამას უარყოფს.

თავმჯდომარე ეკითხება ვან-დერ-ლუბეს: „რა მიზნით ჩამოდით გერმანიაში?“

ვან-დერ-ლუბე უპასუხებს: „ინტერესისათვის“.

თავმჯდომარე: „მაშასადამე, იქნებ იმ განზრახვით, რომ გასცნობოდით გერმანიის პოლიტიკურ მდგომარეობას?“ ამ კარნახზე ვან-დერ-ლუბე უპასუხებს: „დიახ“.

ნაციონალ-სოციალისტების აგენტი, პროვოკატორი მ. ვან-დერ-ლუბე

ვიღაც შტირბერთან ღამის გათევისას ვან-დერ-ლუბე საუბარში აგრეთვე, ვითომ, თავს კომუნისტად ასაღებდა, მაგრამ ამასთან აცხადებდა, რომ იგი „არ ეთანხმება პარტიის ახლანდელ ხელმძღვანელობას“.

შემდეგ პოლიციური კვლევა-ძიება ამტკიცებს, რომ თითქოს ერთ-ერთ უმუშევართან საუბარში ვან-დერ-ლუბეს განეცხადებინოს, რომ საჭიროა „უფრო რადიკალური ზომების მიღება“. ვან-დერ-ლუბე ამას ადასტურებს. თავმჯდომარე ეკითხება—ჰქონდა თუ არა მას 24 თებერვალს აზრი, რომ საჭიროა რაიმე ნაბიჯის გადადგმა ნაციონალ-სოციალისტების წინააღმდეგ, ვან-დერ ლუბე უარყოფით პასუხს იძლევა.

ამგვარად, ვან-დერ-ლუბეს მეორე დაკითხვაც, გერმანული პრესის ცნობების მიხედვითაც კი, ისეთი სავალალო შედეგით დამთავრდა ბრალმდებლებისათვის, როგორც პირველი. თავმჯდომარის დაჟინებით კითხვებზე ვან-დერ-ლუბეს არ გაუცია არავითარი ისეთი პასუხი, რომელსაც დაედასტურებინოს მტკიცება კომპარტიასთან მისი კავშირის შესახებ, აგრეთვე რომ მას რეიხსტაგისათვის ცეცხლი წაეკიდებინოს, ვითომ, კომპარტიის დირექტივის თანახმად. ბრალდებისათვის ერთად-ერთი, მეტად არადამაჯერებელი „კოზირია“ ის საუბრები, რომლებსაც ვან-დერ-ლუბე აწარმოებდა ფიქტიურ „კომუნისტებთან“ ცხოვესა, ზანგესა და იანიკესთან. განსაკუთრებით ეჭვებს იწვევს, ის რომ ბრალდებისათვის ესოდენ მნიშვნელოვან მოწმეთაგან სასამართლოს დღემდის არც ერთი არ დაუკითხავს. მათ „ჩვენებას“ კითხულობენ წინასწარი კვლევა-ძიების მასალებიდან. მაგრამ ამ „ჩვენებებშიც“ ბევრ შეუთანხმებლობას აქვს ადგილი. ყოველივე ამის შედეგად გაზეთები იტყობინებიან, რომ სასამართლოს თავმჯდომარემ გადაწყვიტა „განაგრძოს დაკითხვა ახლებურად“ (ადს).

ფაშისტები მალავენ მათთვის მამხილებელ დოკუმენტებს

პარიჟი, 26 სექტემბერი. გერმანული პრესა ავრცელებს შემდეგ ცნობას: ამხ. დიმიტროვის დამცველმა ტეიხერტმა სასამართლოს სხდომაზე განაცხადა, რომ მან არაფერი იცის დიმიტროვის თხოვნის შესახებ ამ უკანასკნელი განკარგულებაში მისი დაცვის შესახებ მნიშვნელოვანი დოკუმენტების გადაცემის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდებაში ბრალდებულთა დამცველთა საერთაშორისო კომიტეტი აცხადებს:

„დიმიტროვმა 28 აგვისტოს გვთხოვა გადაგვეგზავნა მისთვის მის დასაცავად დიდი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები. ამ მიზნით მან მიმართა ტეიხერტს, რომელმაც უპასუხა, რომ არ შეუძლია მიაწოდოს მას ეს დოკუმენტები. ლაპარაკია გერმანული გამომცემლობის მიერ გამოშვებულ წიგნებზე. ჩვენ ეს წიგნები დიმიტროვს იმავე დღეს გაუგზავნეთ და შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ისინი დანიშნულებისამებრ არ გადაუციათ. ამიტომ ჩვენ გავგზავნეთ შემდეგი დეპეშა: „ბიუნგერს საიმპერიო სასამართლოს თავმჯდომარეს. ლეიპციგი. ტეიხერტმა სასამართლოს სხდომაზე განაცხადა, რომ იგი არ იცნობს დიმიტროვის თხოვნას, რომელიც მის დაცვას, ეხება. ჩვენ 16 სექტემბერს ტეიხერტის და დიმიტროვის მისამართით გავგზავნეთ მოთხოვნილი დოკუმენტების ნაწილი. ამანათი, ყველა არსებული კანონის წინააღმდეგ, არ გადაუციათ დანიშნულებისამებრ არც ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, არც ოფიციალური დამცველებისათვის. ვაცხადებთ ენერგიულ პროტესტს და მოვითხოვთ ამანათის დაუყოვნებლივ გადაცემას“ (ადს).

ბრალმდებლები თვითონვე სხედან ბრალდებულთა სკამზე

ბერლინი, 26 სექტემბერი. 25 სექტემბერს სასამართლოს სხდომა შეწყდა განუსაზღვრელი დროით. 26 სექტემბერს პროცესი განახლდა. დილის სხდომაზე გრძელდებოდა ვან-დერ-ლუბეს დაკითხვა. ანგარიშებიდან სჩანს, რომ დაკითხვას საკმაოდ უცნაური ხასიათი ჰქონდა. ვან-დერ-ლუბე განუწყვეტლივ სდუმდა ან იძლეოდა გაურკვეველ პასუხს. თავმჯდომარე იმდენად კითხვებს არ აძლევდა, რამდენადაც ადგილიდან აქვეყნებდა ვან-დერ-ლუბეს მიერ ვითომ წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებს. ეს „დაკითხვა“ წარმოებდა ბერლინის მუნიციპალიტეტისათვის, სოციალური მეურნეობის განყოფილებისათვის ნეიკელნში და ბერლინის სასახლისათვის ცეცხლის წაკიდების გარშემო. აღნიშნულ შენობებს ვან-დერ-ლუბემ, თითქოს, ცეცხლი წაუკიდა 25 თებერვალს. ანგარიშის მიხედვით, თავმჯდომარის მანიშნებელ კითხვებზე ვან-დერ-ლუბე ლუღლუღით უპასუხებს, რომ დასახელებულ შენობებს ცეცხლი მან წაუკიდა.

შემდეგ თავმჯდომარე ეკითხება ვან-დერ-ლუბეს:

„სახელდობრ რა მიზნით წაუკიდეთ ცეცხლი?“

ვან-დერ-ლუბე ხანმოკლე დუმილის შემდეგ უპასუხებს: „ყოველივე ჩავიდინე ჩემი საკუთარი იდეებისათვის“.

თავმჯდომარე: „რა გინდოდათ ამით დაგემტკიცებინათ?“

ვანდერ-ლუბე: „მე ეს მაშინ თითონ არ ვიცოდი“.

თავმჯდომარე აშკარად უკმაყოფილოა პასუხით და თვითონ ასახელებს ვან-დერ-ლუბეს მოტივებს. თავმჯდომარის სიტყვით, ვან-დერ-ლუბემ, თითქოს თვითონ მისცა ჩვენება, რომელშიაც ამბობს: „გერმანიის მუშები მეტად მხდალები არიან, საჭიროა მათი წაქეზება, საჭიროა ეს მოხდეს 5 მარტამდე“, აგრეთვე, რომ ვან-დერ-ლუბემ, თითქოს, თითონ ახსნა ცეცხლის წაკიდება „მისწრაფებით პროტესტი განეცხადებინა ნაციონალ - სოციალისტების ბატონობის სისტემის წინააღმდეგ“.

შემდეგ თავმჯდომარე ვან-დერ-ლუბეს ეკითხება: „შეიძლება კიდევ იტყვით, მარტოდ იყავით თუ არა ცეცხლის წაკიდების მომენტში“? „ბერლინერ ტაგებლატი“ იუწყება, რომ ვან-დერ-ლუბემ უპასუხა: „დიახ“.

თავმჯდომარე კვლავ აძლევს მანიშნებელ კითხვას: „განა თქვენ არ მიგაჩნიათ, რომ საჭიროა მშრომელი ხალხის, პროლეტარიატის გამოფხიზლება, რომ მისი განთავისუფლება უნდა მოხდეს ძალადობის გამოყენებით? ეს შეეფერება თქვენს შეხედულებებს? ვან-დერ-ლუბე კვლავ სდუმს. მაშინ თავმჯდომარე მიმართავს „საექიმო ექსპერტს“ კითხვით: „რით აიხსნება ვანდერ-ლუბეს დუმილი“. საექიმო ექსპერტი უპასუხებს: „მე ვფიქრობ, რომ ვან-დერ-ლუბეს მოქმედება თავდაცვის ტიპიური ხერხია. იგი გარკვეულ მიზანს ისახავს“.

თავმჯდომარე კვლავ ეკითხება ვან-დერ-ლუბეს: „მართალია თუ არა, რომ ცეცხლის წაკიდებით თქვენ გინდოდათ გამოგეხატათ საჯარო პროტესტი კაპიტალიზმის წინააღმდეგ? წინად თქვენ ეს აღიარეთ. მართალია თუ არა?“ ვან-დერ-ლუბე კვლავ სდუმს. მაშინ სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ვან-დერ-ლუბეს შემდგომი დაკითხვა იწარმოებს სასამართლოს იმ გამომძიებლისა და პოლიციის მოხელეებისათვის შეკითხვების მიცემის ფორმით, რომლებმაც თავის დროზე დაჰკითხეს ვან-დერ-ლუბე.

„ვან-დერ-ლუბეს მოქმედება პროლეტარიატის წინააღმდეგაა მიმართული“

ამის შემდეგ ამხ. **დიმიტროვი, პოპოვი და ტანევი** აძლევენ ვან-დერ-ლუბეს კითხვას: იცნობს თუ არა იგი მათ? გაზეთების სიტყვით, ვან-დერ-ლუბე პასუხს არ იძლევა. მაშინ ამხ. დიმიტროვი აცხადებს, რომ მას სურს მისცეს ვან-დერ-ლუბეს 4 კითხვა. „ახტ ურ აბენდბლატის“ სიტყვით, დიმიტროვი ეკითხება: „იცის თუ არა ვან-დერ-ლუბემ ჩემი სახელი. ვან-დერ-ლუბე ამაზე არ უპასუხებს.

ამხ. დიმიტროვის მეორე კითხვა ასეთია: „რატომ უჭირავს ასე თავი ვან-დერ-ლუბეს აქ?

ვან-დერ-ლუბე პასუხს არ იძლევა. მაშინ დიმიტროვმა წამოიძახა: „ამის მე გეტყვით. ეს კაცი სდუმს, რადგან გრძნობს, რომ **მისი მოქმედება მიმართული იყო პროლეტარიატის წინააღმდეგ. ყოველივე ეს მან ჩაიდინა მხოლოდ იმისათვის, რომ ზიანი მიეყენებინა კომუნიზმისათვის“.**

შემდეგ დიმიტროვი იძლევა მესამე კითხვას: „ეთათბირა თუ არა ვან-დერ-ლუბე თავის მოქმედების შესახებ სხვა ვისმეს, გარდა სასამართლოს გამომძიებლებისა თავმჯდომარემ მოხსნა ეს საკითხი. ამხ. დიმიტროვი: „მაშინ მე ვიძლევი უკანასკნელ კითხვას:

რატომ ჩაიდინა ვან-დერ-ლუბემ ისეთი ქმედობა, რომელიც მიმართულია მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ, კომუნიზმის წინააღმდეგ და ვისთან ერთად ჩაიდინა იგი მან?“ ამხ. დიმიტროვის შეკითხვამ ვან-დერ-ლუბეს ნამდვილი თანამონაწილეების შესახებ მოთმინებიდან გამოიყვანა თავმჯდომარე და მან განაცხადა: „მე ვხსნი ამ საკითხს. მე შეკითხვების მიცემის ნებას აღარ გაძლევთ. კმარა. სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას“. სასამართლო გადის სათათბიროდ. შემდეგ სასამართლო აქვეყნებს გადაწყვეტილებას: დიმიტროვს არ ეძლევა შეკითხვების მიცემის უფლება, ვინაიდან იგი „ბოროტად იყენებს“ ამ უფლებას და ცდილობს თავისი შეკითხვებით აწარმოოს კომუნისტური პროპაგანდა“. თავმჯდომარე სხდომას დამთავრებულად აცხადებს. შემდეგი სხდომა შედგება მხოლოდ 27 სექტემბერს, დილით, ვინაიდან საჭიროა სასამართლო გამოძიების ახალი მეთოდების „მომზადება“ (ადს).

სიმართლის იძულებითი აღიარება

ლონდონი, 26 სექტემბერი. ლეიპციგის პროცესზე, როცა ამხ. დიმიტროვმა დაიწყო წინასწარი გამოძიების ოფიციალური ოქმების მხილება, როგორც „ტენდენციური ოქმების და განაცხადა: „მე უარს ვამბობ მათ ცნობაზე“, პროკურორმა დაუყოვნებლივ აღნიშნა, რომ ოქმები ხელმოწერილია ამხ. დიმიტროვის მიერ. დიმიტროვმა უპასუხა: „მე არაფრისთვის ხელი არ მომიწერია“. და, ბოლოს, სასამართლო იძულებული გახდა აღიარებინა, რომ ოქმები მართლაც არ ყოფილა ხელმოწერილი ამხ. დიმიტროვის მიერ.

ბერლინი, 26 სექტემბერი. 26 სექტემბერს პრესის გამოხმაურება ლეიპციგის პროცესზე კიდევ უფრო მკაფიოდ, ვიდრე პირველ დღეებში, მოწმობს ამხ. **ტორგლერის, დიმიტროვის, პოპოვის და ტანევის** და, მაშასადამე, კომპარტიის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათა გაბათილებას. თვით „ფოლკიშერ ბეობახტერიც“ კი ერთ სიტყვასაც არ ამბობს იმის შესახებ, რომ ბრალდებულმა კომუნისტებმა ცეცხლი წაუკიდეს რეიხსტაგს, და იძულებულია დაკმაყოფილდეს ისტერიული წამოძახილით „ბრალდებულ კომუნისტების პოლიტიკური ფიზიონომია ამტკიცებს, რომ ისინი შემთხვევით არ აღმოჩნდნენ ერთად საბრალმდებლო სკამზე“-ო.

ამერიკელი ვექილი გალახერი ლეიპციგში

ვარშავა, 26 სექტემბერი. ლეიპციგის პროცესზე ჩამოვიდა ლოს-ანჟელოსიდან (შეერთებული შტატები) და ესწრება სასამართლოს სხდომებს, როგორც მსმენელი, ცნობილი ამერიკელი ვექილი გალახერი. ჩამოვიდა აგრეთვე ფრანგი ვექილი ვიარი. მას განზრახული აქვს გადასცეს სასამართლოს თავმჯდომარეს სენსაციური წერილი, რომელიც ამჟღავნებს რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების საიდუმლოებას (ადს).

ამხ. ტორგლერი თვითონ გახდა ბრალმდებელი

ლონდონი, 26 სექტემბერი. „დეილი ექსპრესი“ ამხ. ტორგლერის გამოსვლას ლეიპციგის პროცესზე ახასიათებს, როგორც „ენერგიულ, ბრწყინვალე დაცვას“.

„მანჩესტერ გარდიანი“ აცხადებს, რომ ტორგლერმა „გაცვალა როლი ბრალდებულებთან და თვითონ გახდა ბრალმდებელი“.

„დეილი ტელეგრაფი“ აცხადებს: „დღემდის საბაბიც კი არ ჩანს იმისათვის, რომ ტორგლერს და ბულგარელებს წაუყენონ ბრალდება რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდებაში მონაწილეობის მიღებაში“.

ამერიკელმა იურისტმა **ხეისმა**, რომელიც პროცესს ესწრება, ტელეფონით მიმართა ლონდონში თხოვნით გადაუგზავნონ მას საერთაშორისო საზოგადოებრივ სასამართლოს სხდომების სრული სტენოგრამა. სტენოგრამა გადაუგზავნეს საჰაერო ფოსტით (ადს).

ცხადდება პროცესის შეწყვეტა

ვოლფის სააგენტოს სიტყვით, 25 სექტემბრის სხდომის გახსნისას თავმჯდომარემ განაცხადა შემდეგი:

„წინასწარი კვლევა-ძიების ოქმებიდან ჩანს, რომ წინასწარი კვლევა-ძიების მსვლელობაში ვან-დერ-ლუბე მეტად ზუსტ, ნათელ და დამაჯერებელ ჩვენებებს იძლეოდა. ახლა ამას ადგილი არა აქვს. ვან-დერ ლუბე თავდაჭერილია, ბუნდოვანად ლაპარაკობს და ხშირად ერთი მეორის საწინააღმდეგო პასუხს იძლევა“. იმ მიზნით, რომ პროცესზე გამოქვეყნებულ იქნას „ზუსტი, ნათელი და დამაჯერებელი“ ჩვენება, რომელსაც ვან-დერ-ლუბე, ვითომ, იძლეოდა და რომელიც ბრალმდებლებს ასე ესაჭიროება, თავმჯდომარე იუწყება, რომ შემდეგში ვან-დერ-ლუბესთან ერთად დაკითხული იქნებიან არა მოწმეები, არამედ სასამართლოს გამომძიებელი ფოგტი და პოლიციის რამდენიმე აგენტი, რომელთაც კვლევა-ძიების დროს დაკითხეს ვან-დერ-ლუბე.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ „სასამართლო კვლევა-ძიების მსვლელობის ეს შეცვლა“ აუცილებელ ხდის პროცესის შეწყვეტას (ადს).

საბჭოთა პრესის წარმომადგენლების გამოწვევა გერმანიიდან

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა

იმის გამო, რომ გერმანიის მთავრობის ორგანოებმა შექმნეს დაუშვებელი პირობები გერმანიაში საბჭოთა პრესის წარმომადგენლების მუშაობისათვის, რომლებსაც აპატიმრებენ, ჩხრეკენ და სხვ. და ბოლოს, არ დართეს ნება დასწრებოდნენ ლეიპციგის პროცესს, რომელსაც ესწრებიან სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, საკავშირო დეპეშათა სააგენტომ, „იზვესტიამ“ და „პრავდა“-მ გამოიწვიეს ბერლინიდან თავისი წარმომადგენლები.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის მთავრობამ დაადგინა გააძევოს გერმანიის პრესის მოსკოველი წარმომადგენლები, რომლებსაც 26 სექტემბერს წინადადება მიეცათ სამი დღის ვადაში დასტოვონ საბჭოთა კავშირის საზღვრები.

ნოტების გაცვლა გერმანიის საქმეთა რწმუნებულ ბატონ ფონ-ტვარდოვსკისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ლიტვინოვს შორის

26 სექტემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მ. მ. ლიტვინოვმა გერმანიის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებულის ფონ-ტვარდოვსკისაგან მიიღო შემდეგი ნოტა:

„ბატონო სახალხო კომისარო!

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დასავლეთის განყოფილების გამგემ ბატონმა ლინდემ მაცნობა დღეს დილით, თქვენი დავალებით, სიტყვიერად, რომ საბჭოთა მთავრობა დაუყოვნებლივ გაიწვევს ყველა თავის კორესპონდენტს გერმანიიდან. გარდა ამისა, საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა სამი დღის განმავლობაში გააძევოს ყველა გერმანელი კორესპონდენტი მათ შორის აგრეთვე პრესის კონსულტანტი გერმანიის საელჩოსთან.

მე ვღებულობ ცნობად, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობას განზრახული აქვს გაიწვიოს თავისი კორესპონდენტები გერმანიიდან და მოვახსენებ ამის შესახებ გერმანიის მთავრობას.

გერმანელი კორესპონდენტების გამოცხადებული გაძევების წინააღმდეგ მე ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ, ამასთან წინასწარ არ განვსაზღვრავ გერმანიის მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებს. დასახული ღონისძიება ვერავითარ გამართლებას ვერ პოულობს დაინტერესებულ ბატონების საქციელში და გერმანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმებათა ბუნების და დადგენილებების სრულიად საწინააღმდეგო იქნებოდა.

ამიტომ მე გთხოვთ, ბატონო სახალხო კომისარო, მიიღოთ საჭირო ზომები გაძევების გაუქმებისათვის.

მიიღეთ და სხვ.

ფონ-ტვარდოვსკი.

* * *

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა გერმანიის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებულს ბატონ ფონ-ტვარდოვსკის 26 სექტემბერს გაუგზავნა შემდეგი საპასუხო ნოტა:

„ბატონო საქმეთა რწმუნებულო,

ღონისძიებანი, რომლებიც გადაიქცენ თქვენი დღევანდელი ნოტის საბაბად, გამოწვეულია გერმანიის ხელისუფლების მიერ საბჭოთა კავშირის პრესის წარმომადგენლების სისტემატიური დევნით და მთელი რიგი შეურაცხმყოფელი მოქმედებით. ამ მოქმედებამ გერმანიაში მყოფ საბჭოთა ჟურნალისტებისათვის შექმნა განსაკუთრებული რეჟიმი და პირობები, რომლითაც ისინი მოკლებული არიან საშუალებას შეასრულონ თავისი ფუნქციები.

საკმარისია მოგაგონოთ, რომ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში „იზვესტიას“ წარმომადგენელი მოქალაქე კაიტი ყოველგვარი საბაბისა და საფუძვლის გარეშე ორჯერ იქნა გაჩხრეკილი და დაპატიმრებული; აგრეთვე ორჯერ იქნა დაპატიმრებული და გაჩხრეკილი „პრავდა“-ს წარმომადგენელი მოქალაქე ჩერნიაკი; თავი ვერ დააღწია დაპატიმრებას საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელმა მოქალაქე ბეზპალოვმაც, რომელსაც ამასთანავე უხეშად ეპყრობოდენ და რომელიც პირადად გაჩხრიკეს. მე უკვე არ ვლაპარაკობ აღნიშნული ჟურნალისტების ბინებში მოიერიშეთა შეურაცხმყოფელი შეჭრის მრავალრიცხოვან შემთხვევებზე.

შემდეგ გერმანიის ხელისუფლება უკვე მარტიდან დაადგა დისკრიმინაციის გზას საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნების პრესის წარმომადგენლებს შორის, არ დართო რა ნება საბჭოთა კავშირის პრესის წარმომადგენლებს დასწრებოდნენ რეიხსტაგის გახსნას. საჭირო შეიქნა საბჭოთა კავშირის საელჩოს პროტესტი, რომ გამონაკლისის სახით დაეშვათ მხოლოდ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი. იგივე დისკრიმინაცია გამოიჩინა მან იმაში, რომ არ დაუშვა საბჭოთა ჟურნალისტები ლეიპციგის ახლანდელ პროცესზე, რომელსაც აქვს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და რომელიც საბჭოთა კავშირისათვის, ყოველ შემთხვევაში, წარმოადგენს არანაკლებ ინტერესს, ვიდრე სხვა ქვეყნებისათვის.

საბჭოთა პრესის წარმომადგენლების მიმართ ამ დისკრიმინაციის, აგრეთვე სხვა მტრული მოქმედების წინააღმდეგ საბჭოთა საელჩოს ბერლინში არა ერთხელ განუცხადებია პროტესტი. ამ პროტესტებს საგარეო საქმეთა სამინისტრო სთვლიდა დასაბუთებულად და სამართლიანად და დაპირებას იძლეოდა, რომ მიიღებდა ზომებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასეთი მოქმედება არა თუ არ შეწყვეტილა, არამედ უფრო და უფრო შეურაცხმყოფელ ფორმებს ღებულობდა, ამასთან საბჭოთა მთავრობამ არ იცის არც ერთი შემთხვევა, როცა დამნაშავე პირებსა ან ხელისუფლების ორგანოებზე დაედოთ რაიმე სასჯელი უდისციპლინობისათვის, რომელზედაც ასეთ შემთხვევაში მიუთითებს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საბჭოთა პრესის ორგანოებმა შეუძლებლად მიიჩნიეს შემდგომშიც შეურიგდენ შექმნილ მდგომარეობას და სცენს, რომ მათი წარმომადგენლები ჩაყენებული არიან სრულიად დაუშვებელ პირობებში, რაც საშუალებას უსპობს მათ შეასრულონ დავალებული სამუშაო და რაც მათ შემდგომ ყოფნას გერმანიაში, ხდის უსარგებლოდ და საბჭოთა პრესის ღირსებასთან შეუთავსებლად.

ვერ შეურიგდება ამ მდგომარეობას საბჭოთა მთავრობაც. საბჭოთა მთავრობამ, რომელსაც არ სურს დაადგეს რეპრესიული ზომების გზას გერმანიის პრესის წარმომადგენლების მიმართ, შემოიღოს მათთვის განსაკუთრებული რეჟიმი და მიმართოს ისეთსავე შეურაცხმყოფელ მოქმედებას, რასაც განიცდიან საბჭოთა ჟურნალისტები გერმანიაში, ამჯობინა პირდაპირ განეცხადებინა მათ, რომ შეუძლებელია მათი შემდგომი დარჩენა საბჭოთა კავშირში, სანამ ამ შესაძლებლობას ფაქტიურად მოკლებული არიან საბჭოთა ჟურნალისტები გერმანიაში. ამასთან მე უნდა აღვნიშნო, რომ, თქვენი განცხადების წინააღმდეგ იმ გერმანელ ჟურნალისტებიდან, რომლებსაც წინადადება მიეცა დასტოვონ საბჭოთა კავშირის ტერიტორია, არცერთი კაცი არ ირიცხება გერმანიის საელჩოს ოფიციალურ სიებში, რომლებიც წარუდგინა საელჩომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს. ყველა ისინი მიმართავდენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და სხვა საბჭოთა ორგანოებს მხოლოდ და მხოლოდ როგორც პრესის წარმომადგენლები.

რაც შეეხება თქვენს მითითებას, ბატონო საქმეთა რწმუნებულო, გერმანიისა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ შეთანხმებაზე, მე ვფიქრობ, რომ, თუ გერმანიის ხელისუფლების ზემოაღნიშნული ქმედობანი შეიძლება შეთავსებულ იქნან ამ შეთანხმებებთან, მაშინ საბჭოთა მთავრობის იძულებითი ღონისძიებანიც არ შეიძლება ჩაითვალოს მათ საწინააღმდეგოდ.

იმის შესახებ, რომ საბჭოთა პრესას განზრახული ჰქონდა თავისი ჟურნალისტების გაწვევა და რომ მოსალოდნელი იყო საბჭოთა მთავრობის ასეთი ღონისძიებანი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჯერ კიდევ ა.-წ. 24 სექტემბერს გააფრთხილა საბჭოთა საელჩომ ბერლინში.

მე ძალიან ვწუხვარ, რომ მიხდება მივმართო ამ ღონისძიებებს და სავსებით ვაძლევ თავს ანგარიშს მათ მნიშვნელობაში, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისინი თავზე მოგვახვია გერმანიის მთავრობის ორგანოების მოქმედებამ, რომლებსაც ეკისრება პასუხისმგებლობა შექმნილი მდგომარეობისათვის.

მიიღეთ და სხვ.

მ. ლიტვინოვი.

საბჭოთა კავშირში

ამხ. კარახანი გაემგზავრა სპარსეთში

ბაქო, 27 სექტემბერი. 27 სექტემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აღმოსავლეთის განყოფილების გამგის თანაშემწის ამხ. ოსეტროვის და მდივნის ამხ. ხრისანოვის თანხლებით ბაქოში ჩამოვიდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. კარახანი, რომელიც მიემგზავრება სპარსეთში. ამხ. კარახანს სადგურზე შეხვდენ აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ფარაჯ-ზადე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს დიპლომატიური აგენტი აზერბეიჯანში ამხ. კარტაშევი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. კობეცკი. სპარსეთის გენერალური კონსული ბ. მარცბანი, სამხედრო სარდლობის წარმომადგენლები და სხ. ბაქოში ყოფნის დროს ამხ. კარახანმა დაათვალიერა ნავთის სარეწაოები, დაესწრო ლოკბატანის ახალ სარეწაოზე, როცა № 65 ჭაბურღილიდან ამოხეთქა ნავთის ახალმა მძლავრმა შადრევანმა. საღამოს 6 საათზე ამხ. კარახანი გემ „ფოჭინით“ გაემგზავრა პეხლევში. (ადს).

ლინდბერგი საბჭოთა კავშირში თავისი მოგზაურობის შესახებ

მოსკოვი, 26 სექტემბერი. მოსკოვში მყოფი ამერიკელი მფრინავი ლინდბერგი მიიღო მუშურ-გლეხური წითელი არმიის საჰაერო ძალების უფროსმა ამხ. ალკსნისმა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ანველტმა. ლინდბერგი ესტუმრა აგრეთვე მოსკოვის აეროპორტს.

საბჭოთა და ამერიკული პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ლინდბერგმა აღნიშნა, რომ მან საბჭოთა კავშირში თავისი ხანმოკლე ყოფნის დროს მიიღო საუკეთესო შთაბეჭდილებები. „მე მოხარული ვარ, —სთქვა მან,—რომ საშუალება მომეცა ვიყო საბჭოთა კავშირში, სადაც მოვფრინდი საკუთარი ინიციატივით, რომ გავეცნო ქვეყნის უდიდეს ცენტრებს“.

ლინდბერგმა გამოსთქვა მადლობა იმ დახმარების კარგი ორგანიზაციისათვის, რომელიც აღმოუჩინეს მას საბჭოთა ავიაციის მუშაკებმა და ხელისუფლებამ მისი ლენინგრადში მოფრენის და ლენინგრადიდან მოსკოვში გადმოფრენის დროს (ადს).

ამერიკელი გამოჩენილი მფრინავი ჩარლზ ლინდბერგი, რომელიც ამჟამად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

მძლავრი მოტორ-გენერატორები სურამის უღელტეხილისათვის

მოსკოვი, 26 სექტემბერი. უახლოეს დღეებში სურამის ელექტროფიცირებულ უღელტეხილის წევის ქვესადგურებზე დადგმული იქნება საბჭოთა პირველი მოტორ-გენერატორები, რომლებიც დამზადებულია ხარკოვის მექანიკური ქარხნის მიერ. თითეული გენერატორის სიმძლავრე უდრის 22 ათას კილოვატს. მოტორ გენერატორების წინასწარმა გამოცდამ ცხადჰყო, რომ მათ სავსებით შეუძლიათ გასწიონ საიმპორტო გენერატორების მაგივრობა (ადს).

რკინის გზების ახალი ელექტროფიცირებული უბნები

მოსკოვი, 26 სექტემბერი. უახლოეს დღეებში რკინის გზის ქსელზე ამუშავდება ახალი ელექტროფიცირებული უბნები. ოქტომბრის პირველ რიცხვებში დაიწყება საკონტაქტო გაყვანილობის დაკიდება ეკატერინეს რკ. გზის ელექტროფიცირებულ უბანზე ზაპოროჟიესა და ნიკოპოლის შორის 90 კილომეტრის მანძილზე. შემდეგში ეს უბანი გაგრძელებული იქნება სადგურ დოლგინცოვომდე. ნოემბრიდან განზრახულია გადასცენ საექსპლოატაციოდ პერმის გზის კიზელ-ჩუსოვსკაიას ელექტროფიცირებული უბანი, რომლის მანძილი უდრის 112 კილომეტრს, განზრახულია მურმანსკისა და კანდალაქშას შორის მდებარე უბნის ელექტროფიკაცია 400 კილომეტრის მანძილზე (ადს).

„ჩელიუსკინი“ ჩაიჭედა ყინულებში

ხაბაროვსკი, 26 სექტემბერი. „ჩელიუსკინი“ ჩაიჭედა ყინულებში კოლიუჩინის კუნძულის რაიონში გემის ცდა წასულიყო წინ ყინულის ამონალით აფეთქების გზით უშედეგოდ დამთავრდა. გემი მიიწევს ბერინგის სრუტის მიმართულებით (ადს).

იაპონელები ამზადებენ ნიადაგს აღმ. ჩინეთის რკ. გზის ხელში ჩასაგდებად

აღმოსავლეთ - ჩინეთის რკ. გზის გამგეობის საბჭოთა ნაწილის პროტესტი საბჭ. კავშირის პასუხისმგებელ აგენტების დაპატიმრების წინააღმდეგ

ხაბაროვსკი, 26 სექტემბერი. იაპონია-მანჯურიის ხელისუფლების მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საბჭოთა პასუხისმგებელ აგენტების დაპატიმრებამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის ხარბინელი გენერალური კონსულის ამხ. სლავუცკის და გზის გამგეობის საბჭოთა ნაწილის ენერგიული პროტესტები.

გზის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგის მოადგილემ ამხ. ბანდურამ 24 სექტემბერს ინახულა გამგეობის თავმჯდომარე ლი შაო-გენი და განუცხადა მას ოფიციალური პროტესტი გზის აგენტების დაპატიმრების წინააღმდეგ. ლი შაო-გენი ცდილობდა მიეთითებინა იმაზე, რომ დაპატიმრება მოხდა პროკურორის განკარგულებით აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მთავარი კონტროლიორის განცხადების თანახმად იმის შესახებ, რომ აღნიშნულმა პირებმა ჩაიდინეს რაღაც ბოროტმოქმედება. მაგრამ ამხ. ბანდურამ არ მიიღო ეს განმარტება და განაცხადა პროტესტი მთავარი კონტროლიორის მუშაობის ასეთი მეთოდების წინააღმდეგ, ვინაიდან მთავარმა კონტროლიორმა თავის განცხადებათა შესახებ არაფერი არ აცნობა გზის უმაღლეს ორგანოებს—გამგეობას და სარევიზიო კომიტეტს, არამედ უშუალოდ, თვითნებურად მიმართა პროკურორს.

დაპატიმრებულებისათვის არავითარი ბრალდება არ წაუყენებიათ.

განმარტება, რომელიც მისცა ლი შაო-გენმა (აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე) გზის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგის მოადგილეს, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე ამხ. ბანდურას მისი პროტესტის საპასუხოდ და, რომლითაც ცდილობდა იგი მიეჩქმალა გზის საბჭოთა აგენტების უკანონო დაპატიმრება, მოწმობს, რომ იაპონია-მანჯურიის ხელისუფლებამ მტკიცედ გადასწყვიტა დაადგეს არსებულ ხელშეკრულებათა პროვოკაციულად ჩაშლის გზას.

უკანონოდ მოხდენილ დაპატიმრებათა მიზეზად ლი შაო-გენმა წამოაყენა ვერსია იმის შესახებ, რომ მთავარმა კონტროლიორმა, თითქოს, აღმოაჩინა აღნიშნულ პირთა რაღაც ბოროტმოქმედებანი და ამის შესახებ უშუალოდ აცნობა პროკურორს, რის შედეგადაც მოხდა აღნიშნულ პირთა დაპატიმრება.

მაგრამ ლი შაო-გენმა, როგორც აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის თავმჯდომარემ, მშვენივრად იცის, თუ მუშაობის და ურთიერთობის როგორი წესი (ხელშეკრულებებით გათვალისწინებული) არსებობს აღმოსავლეთ ჩინეთის რკ. გზაზე სხვადასხვა ორგანოებსა და განყოფილებებს შორის. ლი შაო-გენმა მშვენივრად იცის, რომ უმაღლეს ორგანოებს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე წარმოადგენენ გზის გამგეობა, რომელიც შესდგება ხუთი საბჭოთა და ხუთი მანჯურიელი წარმომადგენლისაგან, და სარევიზიო კომიტეტი, რომელიც შესდგება ორი მანჯურიელი და სამი საბჭოთა წარმომადგენლისაგან, და რომ ყველა საკითხს, რომლებიც ეხება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზას, იხილავს, არჩევს და სწყვეტს გამგეობა, მაგრამ ისეთი საკითხები:

„რომლებზედაც გამგეობა ვერ მიაღწევს შეთანხმებას, უნდა გადაეცეს გადასაწყვეტად ხელშეკრულების დამდებ მხარეთა მთავრობებს“ (იხ. პეკინის ხელშეკრულების მე-6 მუხლი და მუკდენის 1924 წლის შეთანხმების 1 მუხლის მე-2 პუნქტი).

ლი შაო-გენმა იცის, რომ აღმ. ჩინეთის რკ. გზის კონტროლი გამგეობისა და სარევიზიო კომიტეტისადმი დაქვემდებარებული ორგანოა, და ყველა მის მიერ შენიშნული არანორმალობის შესახებ, თუ ასეთი ნამდვილად აშკარავდება, მან უნდა მოახსენოს გამგეობას და სარევიზიო კომიტეტს. ეს სრულიად არ არის პოლიციის საქმე, რასაც ადგილი აქვს ამ შემთხვევაში.

ამავე დროს კი არავითარი მასალა დაპატიმრებულ საბჭოთა აგენტების ბოროტმოქმედებათა გამო კონტროლისაგან გამგეობასა და სარევიზიო კომიტეტს არ მოსვლია და არსებითად ამ „ბოროტმოქმედებათა“ შესახებ დღემდის არავინ არაფერი არ იცის.

მთავარი კონტროლიორის თვითნებური გამოსვლა არის ცდა მიითვისოს ის რწმუნებანი, რომლებიც ეკუთვნის განსაკუთრებით სარევიზიო კომიტეტს, რომლის დასკვნის გარეშე ლაპარაკიც კი არ შეიძლება გზის ინტერესების რაიმე დარღვევის ფაქტის შესახებ.

სავსებით ცხადია, რომ ჭორი იაპონია-მანჯურიის ხელისუფლების დავალებით კონტროლის მიერ გულმოდგინედ „აღმოჩენილ“ „ბოროტმოქმედებათა“ შესახებ მიზნად ისახავს მხოლოდ იმას, რომ რამენაირად მიჩქმალულ იქნას უკანონო დაპატიმრებანი, რომლებიც მოხდენილ იქნა იაპონია-მანჯურიის ხელისუფლების მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებისათვის მოსამზადებლად, რის წინააღმდეგ ამ დღეებში სპეციალურად აფრთხილებდენ თავის პროტესტში იაპონიის მთავრობის სახელზე საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. სოკოლნიკოვი და საბჭოთა ელჩი ტოკიოში ამხ. იურენევი (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავე მზეთავებო! გაიყოლიეთ ჩამორჩენილები, გადაეცით მათ თქვენი გამოცდილება

პური უნდა გადაიზიდოს მთელი სისწრაფით

კომუნისტი მზეთავი—მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს

გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებული წერილი დებალცევოს კვანძის მოწინავე მზეთავის ამხ. ნაგორნსკის მუშაობის შესახებ, თითეულ მზეთავს ავალებს გამოიყენოს თავის მუშაობაში **ნაგორნსკის** გამოცდილება. ნაგორნსკივით მუშაობა აუცილებლად შეიძლება, საჭიროა მხოლოდ საქმისადმი პასუხისმგებლობის გაძლიერება და კეთილსინდისიერი მიდგომა. მზეთავი საკუთარ თავსავით უნდა უვლიდეს ბუქსს, რადგან ბუქსის წვა ტრანსპორტის ერთ-ერთ უმთავრესი მტერია.

განსაკუთრებით კომუნისტი — მზეთავი უნდა იყოს კარგი მუშაობის მაგალითის მაჩვენებელი, ავანგარდი. პირველ რიგში კომუნისტ და კომკავშირელ მზეთავს მოეთხოვება არ დაუშვას ბუქსის წვის არც ერთი შემთხვევა. მაგრამ ყველა კომუნისტ და კომკავშირელ მზეთავს როდი აქვთ შეგნებული ეს.

სამტრედიის რკ. გზის კვანძზე არიან კომუნისტი — მზეთავები, რომელთაც ბუქსის წვის რამდენიმე შემთხვევა ქონდათ. ასეთია: ი. **ქუთათელაძე** — გადაეწვა ოთხი ბუქსი და ი. მამედოვი, რომელსაც გადაეწვა — სამი ბუქსი; მზეთავ **ადამიას** დილის 12 საათზე სამგზავრო ვაგონში ეძინა, რის გამო მთელი შემადგენლობა 20 წუთით მოცდა. ასე არ უნდა მუშაობდნენ კომუნისტი — მზეთავები. კომუნისტი — მზეთავი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს.

ბუქსების წვა ხშირად გამოწვეულია საქმის უცოდინარობით, გამოუცდელობით. საჭიროა აღვზარდოთ მზეთავთა ახალი კადრი, მივსცეთ მას სათანადო კვალიფიკაცია. მე პირადად, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შევადგინე მეორე ხარისხოვანი მზეთავების ჯგუფი, რომელსაც გავაცანი ჩემი მუშაობის წესი და ჩემი ბრიგადის გამოცდილება. ახლა, „კომუნისტის" კონკურსთან დაკავშირებით მე ვკისრულობ პირველ იანვრამდის მოვამზადო 12 მზეთავი.

ამხ. **ნაგორნსკის** გამოცდილების გაცნობის შემდეგ, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ვაგონების წესიერად და თანაბრად დატვირთვას, რადგან უწესოდ დატვირთული ვაგონის ბუქსი აუცილებლად გადაიწვის.

ზოგი მზეთავი კარგად უვლის ბუქსს და ვაგონის ღერძს. მაგრამ ხშირად ამხ. სტალინის სახ. სარემონტო ქარხანა უშვებს ისეთ ვაგონებს, რომელიც მეორე დღესვე ფუჭდება. მაგ. 30 აგვისტოს ფოთიდან გამოვიდა მატარებელი № 974; სადგურ ქვალონში ამ მატარებლიდან აიხსნა ვაგონი. № 526574, რადგან საკისურები სათანადოდ არ იყო დამაგრებული. ეს ვაგონი გამოშვებულია საკონვენციო შეკეთებიდან 21 აგვისტოს. იმავე დღეს, საკისურების მიზეზით ახსნილ იქნა პურით დატვირთული 5 ვაგონი, რემონტიდან 26 აგვისტოს გამოშვებული. სარემონტო ქარხანამაც უნდა გარდაქმნას მუშაობა და მოგვცეს ჯანსაღი ვაგონები. ჩვენ კი, მზეთავები მეტი პასუხისმგებლობით მოუვლით ჯანსაღ ვაგონებს.

ვესალმები გაზეთ „კომუნისტი"-ს ინიციატივას საუკეთესო მზეთავს და სავაგონო დეპოზე პირველ და მეორე საექსპლოატაციო რაიონებში კონკურსის მოწყობის შესახებ. ვებმები ამ კონკურსში და ვკისრულობ შევასრულო კონკურსის ყველა პირობა.

გ. ნიჟარაძე.
(სამტრედიის კვანძის მზეთავი)

ბუქსები იწვის

(„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან).

მატარებლის ფანჯრიდან როცა იყურებით, ხიდავთ: ლიანდაგის ნაპირას თითქმის ყოველ ათ მეტრზე აგდია მაზუთში გასვრილი რკინის ყუთი.

გულშემატკივარი შეწუხდება, რომ უტილსამქროსათვის გამოსადეგი ლითონის ძვირფასი ნაჭრები ასე იკარგება. ეს—კოლოფია ვაგონის ბუქსის, კოლოფი რომლის შესახებ დღეს ასე ბევრს ვწერთ და ვლაპარაკობთ.

შორაპან-ჭიათურის ხაზზე ბუქსები ხშირად იწვის და კოლოფიც იკარგება იშვიათად მივა მატარებელი შორაპნიდან ჭიათურამდე ან ჭიათურიდან შორაპანში ისე, რომ ერთი-ორი ბუქსი მაინც არ გადაიწვას.

ამაში პირველყოვლისა დამნაშავე არიან მზეთავები, ის ქარაფშუტა მზეთავები, რომელნიც თავიანთი მოქმედებით ასეთ დიდ ზარალს აყენებენ სახელმწიფოს. აი ორიოდე ფაქტი. 14 სექტემბერს მატარებელ № 926-ის № 1728 ვაგონზე გადაიწვა ბუქსი. დამნაშავენი იყვნენ მზეთავები: **ბალათურია** და **ამანათოვი**. მათ ყურადღება არ მიაქციეს ბუქსს, დროზე არ დაზეთეს იგი.

16 სექტემბერს სადგ. ბოსლეეშში გადიწვა ბუქსი. „მატარებელი № 942, ვაგონი № 2885."—ჩაინიშნა სადგურის მორიგემ. ბუქსი გადიწვა მზეთავ **სულაქველიძის** დაუდევრობის გამო. 17 სექტემბერს მზეთავ დიმიტრი დეკანოსიძის უყურადღებობით მატარებელ № 932-ის №1845 ვაგონზე გადაიწვა ბუქსი.

ეს ცალკე შემთხვევებია. ბუქსები სისტემატიურად იწვის შორაპან-ჭიათურის ხაზზე. 30-70—აი ბუქსის წვის შემთხვევათა თვიური მაჩვენებელი. არსად, არც ერთ ხაზზე ისე ხშირად არ ხდება ბუქსის წვა, როგორც შორაპან-ჭიათურის ხაზზე.

—ბუქსების წვაში მარტო მზეთავი არაა დამნაშავე,—ამბობს შორაპნის სავაგონო დეპოს უფროსი ამხ. კვინიკაძე, ამაში ბრალი ზოგჯერ მემანქანეებსა და გადამბმელებსაც მიუძღვით. ვის არ შეუნიშნავს, რომ მანევრის დროს ორთქლმავალი მთელი სიძლიერით დაეჯახება წინა ვაგონს, ეს უკანასკნელი კი მოულოდნელად შესძრავს სხვა ვაგონებს და შექმნის რახუნს. სწორედ ამ დროს მოსალოდნელია საკისურის გადაბრუნება და ბუქსის გადაწვა. ამ შემთხვევაში მზეთავი უძლურია. ამხ. კვინიკაძე ასახელებს გადაწვის სხვა მიზეზებსაც.

—თქვენ არ გყავთ ისეთი მზეთავი, რომელსაც ბუქსის გადაწვის არც ერთი შემთხვევა არ ჰქონია?—ვეკითხები მე.

—როგორ არა, გვყავს; აქსენტი ფერაძე, დავით კვინიკაძე. გრიგოლ მაღლაკელიძე ჩვენი საუკეთესო მზეთავებია. ისინი ძველი მუშებია, მაღალი კვალიფიკაციის, თვალისჩინივით უფრთხილდებიან ბუქსებს. ამიტომ ისინი 1-ლ თანრიგში ჩავრიცხეთ, ნაცვლად 140-ისა თვეში დავუნიშნეთ 170 მანეთი. მათ არ ჩამოუვარდება კომკავშირელი მზეთავი გიორგი ეკალაძე, რომელსაც თავისი მიზეზით ბუქსი არ გადასწვია.

—:—

... ღამეა, მარგანეცისაგან დაცლილი და ხეებით დატვირთული მატარებელი შორაპნიდან ჭიათურაში ბრუნდება. მას მიჰყვება აქაური საუკეთესო მზეთავი **აქსენტი ფერაძე.**

ფერაძე 21 წელიწადია რკინისგზაზე მუშაობს, აქედან 14 წელია მზეთავად. ამ საღამოს იგი ჩვეულებრივ ადრე გამოვიდა სამუშაოზე და მზრუნველობით ჩამოუარა ბუქსებს.

მატარებელი არაა შედგენილი, ფერაძე ბუტბუტებს:

—ასე აუწყობელი მუშაობა გამიგონია? ბუქსები უკვე დავზეთე, ვაგონები მზათაა. ახლა შეიძლება მოვიდეს შემდგენელი და ბრძანოს:

—ეს ვაგონები არ მიდიის!

ასეთი შემთხვევა აქ ხშირია.

როგორც იქნა მატარებელი დაიძრა. ფერაძესთან ხის კუნძებზე ჩამომჯდარი მივდივარ ჭიათურისაკენ. მაინტერესებს გავიგო, როგორი მზეთავია ფერაძე, გამართლებს თუ არა იგი საუკეთესო მზეთავის სახელს, შეიძლება თუ არა ნაგორნსკის გვერდით მისი დაყენება?

ფერაძე და მისი ამხანაგი ყოველ სადგურში ჩამოდიან, ათვალიერებენ ბუქსებს.

აი სადგური სალიეთი.

—შემადგენლობიდან უნდა გამოვიდეს ორი ვაგონი, —აცხადებს მორიგე..

მიზეზი. საკისურის გახურება, ბუქსის გადაწვის საფრთხე.

მოხსნეს ორი ვაგონი; მორიგემ მზეთავების გვარები ჩაიწერა. იმავე სადგურზე აღმოჩნდა, რომ ერთი ბუქსის კოლოფი გზაში დაკარგულა, ღერძი გახურებულა და მოსალოდნელია გადაწვა.

ამრიგად, ვერც ფერაძემ აიცილა ბუქსის წვა, გამოცდა ვერ ჩააბარა.

ჭიათურა-შორაპნის გზაზე შესაძლებელია ბუქსის წვის შემთხვევების სავსებით აღმოფხვრა. ამ მიზნით ახლო ხანში განზრახულია მზეთავების საწარმოო თათბირის მოწვევა, ვნახოთ, რას იტყვიან მზეთავები ამ თათბირზე, რას გააკეთებენ ისინი იმისათვის, რომ გაიმარჯვონ „კომუნისტის" კონკურსში.

ნ. პაიჭაძე.
ჭიათურა, 24 სექტემბერი.

კუტაფინ-ჩანქვეტაძის რეისი

ჩამოვიტანეთ 1105 ტონა ხორბალი

მარშრუტი: ტფილისი-ფოთი, ფოთი-ტფილისი

(„კომუნისტი"-ს სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ტფილისი — ხაშურის უბანზე ამკრეფი მატარებლით საცდელი რეისის ჩატარების შემდეგ, მოწინავე რკინისგზელებმა, დისპეტჩერებმა, ამხ. კუტაფინმა და ჩანქვეტაძემ, გაზ. „ზარია ვოსტოკა"-სა და „კომუნისტი"-ს ბრიგადებთან ერთად 23-დან—26 სექტემბრამდის პურის სამარშრუტო მატარებლით ჩაატარეს პირდაპირი რეისი ტფილისიდან ფოთამდის და უკან.

ჩრდილოეთიდან, ამ.-კავკასიაში ზღვით პურის დიდძალი ტვირთების შემოზიდვის გამო, უკანასკნელ ხანებში ფოთსა და ბათომში მეტად დაჭიმული მდგომარეობა შეიქნა. რკინისგზა ვერ ასწრებს ნავთსადგურებში მოზიდავებულ ტვირთების გამოზიდვას, საწყობები გაჭედილია, რეიდზე მომდგარი გემები კვირაობით უცდიან დაცლას.

საჭიროა ტრანსპორტის მთელი ძალების და შესაძლებლობათა მობილიზაცია, რომ ნავთსადგურები განიტვირთოს და ამით თავიდან იქნეს აცილებული პურის ტვირთების მოსალოდნელი გაფუჭება.

პურეულის გადაზიდვის გარშემო რკინისგზელთა ყურადღების მობილიზაციის მიზნით გამოყენებული იქნა ტრანსპორტის მოწინავე მუშაკის, დისპეტჩერ კუტაფინის ტფილისში ყოფნა. გადაწყდა მისი ხელმძღვანელობით სამარშრუტო მატარებლის გაგზავნა ფოთში, აქედან პურის გადმოსაზიდად.

ამისათვის, სადგ. ტფილისის ჩრდილოეთ პარკში 23 სექტემბერს შედგენილ იქნა სპეციალური მატარებელი 56 ცალიანი, დახურული ვაგონით.

მატარებელი სადგ. ტფილისის ჩრდილოეთ პარკიდან გავიდა 24 სექტემბერს დილის 5 საათსა და 55 წუთზე. მან, კონდუქტორთა ბრიგადის მიზეზით ტფილისშივე 35 წუთით დაიგვიანა, რის გამოც დიდუბეში და ავჭალაში დაგვიჭირეს ბათომის მხრიდან მომავალმა სახალხო მატარებლებმა. დიდუბეში გავჩერდით 43 წუთს და ავჭალაში 3 საათსა 35 წუთს. კასპში გაჩერდით ბუქსის გახურების გამო 15 წუთს და სკრაში 30 წუთს შემადგენლობის გაწყვეტის მიზეზით.

სადგურ სკრას უფროსი **ცქიტიშვილი** დაგვიხვდა მთვრალი, რისთვისაც ის მოიხსნა სამუშაოდან.

გაგვაჩერეს აგრეთვე ზესტაფონსა და სამტრედიაში.

ფოთში ჩავედით 25 სექტემბერს დილის 8 საათსა და 15 წუთზე.

დაგვიანების მიზეზია ერთის მხრივ ცუდი სადისპეტჩერო ხელმძღვანელობა მე-2 რაიონის მხრივ, ტექნიკური ხასიათის შეფერხებები (ბუქსის გახურება, შემადგენლობის გაწყვეტა) და მეორეს მხრივ ის უთავბოლობა, რომელსაც ღრმად აქვს ფესვები გადგმული ა.-კ. რკ. გზის მუშაობაში.

უკანასკნელი მიზეზით ჩვენმა მატარებელმა პირველ რაიონში დაკარგა თავის სახე. მას 12 ვაგონი მოხსნეს რიონში და 38 სამტრედიაში. ჩვენ კი სრული შემადგენლობით უნდა ჩავსულიყავით ფოთში, დაგვეტვირთა ვაგონები და წამოგვეყვანა უკან.

ეს გეგმა ჩაიშალა.

ფოთში მოეწყო ახალი შემადგენლობა უკვე წინა დღით დატვირთულ ვაგონებისაგან და უკან წამოვედით 25 სექტემბერს საღამოს 7 საათსა და 49 წუთზე. დაგვაგვიანეს ფოთი-სამტრედიას, სამრედია-ზესტაფონის უბნებზე და ხაშურში.

ტფილისში ჩამოვედით 26 სექტემბერს საღამოს 5 საათსა და 18 წუთზე.

ჩამოვიტანეთ 1105 ტონა ხორბალი.

გაზეთების ბრიგადებმა გამოუშვეს 13-დე სპეციალური ფურცელი „ელვა".

ა. ასანჯერიძე.

კუტაფინ ჩანქვეტაძის რეისი მარშრუტით: ტფილისი-ფოთი, ფოთი-ტფილისი ჩატარდა 24—26 სექტემბერს. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ფოთის ნავთსადგურში ადესიდან მოსული პურით დატვირთული გემი „ბალაკლავა" დგას რეიდზე. ზევით: ფოთის ნავთსადგურის მტვირთავთა ბრიგადის ხელმძღვანელი, კომუნისტი ამხ. ლალიაშვილი, მარჯვნივ მისი ბრიგადის წევრები. მემანქანე მეფძაძე, რომელმაც პურით დატვირთული შემადგენლობა ჩამოიყვანა ხაშურიდან ტფილისში და მემანქანის თანაშემწე ეკალაშვილი.

იშვიათი ლითონი მოლიბდენი

(რაჭის მოლიბდენის საწარმოს ორგანიზაციისათვის)

მეორე წელიწადია, რაც ზემო-რაჭაში, სოფელ ღებიდან 13 კილომეტრის მანძილზე — კარობის მთაზე წარმოებს იშვიათი ლითონის მოლიბდენის საძიებელი სამუშაოები. ძიებამ გამოავლინა მოლიბდენის უხვი საბადოები და ამ ლითონის სამრეწველო მარაგი.

საერთოდ ლითონი მოლიბდენი იშვიათად გვხდება და სამრეწველო მნიშვნელობის საბადოები ცნობილია მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში (ნორვეგიასა, ავსტრალიასა და კანადაში). აღნიშნული საბადოების მარაგი განსაზღვრულია და წმინდა ლითონის ანგარიშით უდრის რამდენიმე ათას ტონას. მისი სიმცირის გამო და ამასთან ერთად იმის გამო, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხარისხოვანი ფოლადისათვის, მოლიბდენი ბაზარზე ძალიან ძვირად ფასობს. სამრეწველო მნიშვნელობის მოლიბდენის საბადოები ძალიან ცოტაა; ამიტომ მსოფლიო ბაზრისათვის მოლიბდენის მიწოდების მთელი მონოპოლია მოქცეულია ავსტრალიის და კანადის ხელში.

საბჭოთა კავშირში დღემდე არ ყოფილმა მოლიბდენის მსხვილი საბადოები. ამჟამად წარმოებს მხოლოდ ორი საბადოს დამუშავება ძალიან განსაზღვრული მარაგით. კარობის საბადოების აღმოჩენა საქართველოში თითქმის სავსებით წყვეტს საბჭოთა კავშირის ხარისხობრივი მეტალურგიისათვის მოლიბდენის ლითონის საჭირო რაოდენობის მიწოდების საკითხს. უკვე ძიების ახლანდელ ეტაპზედაც კარობის მოლიბდენიტის საბადოს მარაგი რამდენიმეჯერ აღემატება იმ ორი საბადოს მარაგს, რომელთა ექსპლოატაცია წარმოებს საბჭოთა კავშირში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჯერ - ჯერობით გამოკვლეულია არა მთელი საბადო, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი, უდაო ხდება, რომ რაჭის მოლიბდენის საბადო წარმოადგენს საბჭოთა კავშირში პირველ და, თუ გნებავთ, ერთადერთ მსხვილ საბადოს მთელს მსოფლიოში.

საერთოდ იშვიათ ლითონებს (ვოლფრამი, ვანადი, ბისმუტი, კალა, ბერილი; კობალტი და სხვ.) დიდი მნიშვნელობა აქვთ ლეგირებული და მაღალხარისხოვანი ფოლადის წარმოების საქმეში. ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება საავიაციო, ავტოსატრაქტორო და მანქანათმშენებლობის მრეწველობის საერთო ზრდასთან დაკავშირებით. უკანასკნელ დროს ტექნიკას აღებული აქვს გეზი იმისაკენ, რომ შეცვალოს ძვირალი ლითონი განსაკუთრებული თვისებები ან მაღალი ხარისხოვანი ფოლადით. ეს განსაკუთრებული თვისებები ეძლევა ფოლადს მას შემდეგ, როცა მას განსაზღვრული რაოდენობით შეურევენ იშვიათ ლითონს.

იმ იშვიათ ლითონებს შორის, რომლებიც საჭიროა სპეციალური ლეგირებული ფოლადის დასამზადებლად, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მოლიბდენს. მოლიბდენის მსოფლიო წარმოების 90 პროცენტს ნთქავენ სპეციალური სახის ფოლადები: მოლიბდენის ფოლადი, ქრომ-ნიკელ-მოლიბდენის, ნახშირმჟავა-მოლიბდენის, ქრომო - მოლიბდენის, სპილენძმოლიბდენის და სხვ. მოლიბდენის უმნიშვნელო ნაწილი იხმარება ქიმიურ მრეწველობაში.

მოლიბდენს ქრომის და ნიკელის ფოლადის შემადგენლობით იყენებენ ავტომშენებლობაში ყველაზე უფრო პასუხსაგები ნაწილების დასამზადებლად. ავიომშენებლობაში ქრომო - მოლიბდენის ფოლადს ხმარობენ მანქანების ნაწილებისათვის, ჩარჩოებისათვის, მილებისათვის, ავიამოტორების მუხლოვანი ლილვებისათვის და სხვ. ქრომსა და კობალტთან მოლიბდენის შენადნობს იყენებენ მაღალი სიმაგრის და სწრაფადმჭრელი ინსტრუმენტების დასამზადებლად. ელექტროტექნიკურ მრეწველობაში მოლიბდენს იყენებენ ელნათურების მუდმივი მაგნიტების და მავთულების დასამზადებლად.

უკანასკნელ დროს მოლიბდენს ფართოდ იყენებენ რკინისგზის საქმეშიაც. მარგანეცისა, ქრომისა, ნიკელისა და მოლიბდენისგან გაკეთებულ ლეგირებულ ფოლადს ხმარობენ ვაგონების და ორთქლმავლების ზორბლების დასამზადებლად. ამერიკის რკინის გზებზე მოძრავი შემადგენლობისათვის შემოსაკრავად, ფოლადის ლითონის გამოჭმის შემთხვევებთან ბრძოლის მიზნით, დაიწყეს ლეგირებული ფოლადის გამოყენება, რომელსაც უმატებენ სპილენძს, მოლიბდენს და ნიკელს. მოლიბდენისაგან დამზადებული ხიდების ფერმები წლითიწლობით უფრო მაგარი ხდება.

მოლიბდენს იყენებენ ქიმიური აპარატებისათვის, შენობებისა და რადიო - ტექნიკაში. მოლიბდენის და ვოლფრამის შენადნობი მთელ რიგ შემთხვევებში პლატინის მაგიერობას ეწევა.

საზღვაო არტილერიაში დიდ მოთხოვნებს უყენებენ რთულ სპეციალურ მექანიზმებს სიზუსტის და სიმძლავრის მხრით. ამიტომ ომის შემდეგ ინგლისში იწყება ქრომ-ნიკელ-მოლიბდენის ფოლადის გამოყენება საარტილერიო ზარბაზნებისთვის. მოლიბდენის ფოლადისაგან დამზადებულ ზარბაზნებს ახასიათებს ყველაზე უფრო დიდი დრეკადობა. მოლიბდენი შედის იმ სპეციალური ლითონის შემადგენლობაში, რომელიც საჭიროა ჯავშნიანი ფილების და ჯავშნიანი ყუმბარების დასამზადებლად. მოლიბდენის შენაერთს აგრეთვე იყენებენ უკვამლო თოფის წამლის დასამზადებლად.

ფოლადში მოლიბდენი შეყავთ ან მოლიბდენ - მჟავა კალციუმის სახით ფერო - მოლიბდენის სახით; ეს უკანასკნელი შეიცავს მოლიბდენის წმინდა ლითონს 40-დან 80 პროცენტამდე.

კარობის მოლიბდენის საბადო თავისი ოდენობის მიხედვით რენტაბელურია, რამდენადაც მისი ფენა ფრიად მძლავრია და საშუალოდ შეადგენს 10 მეტრს, ხოლო ზოგიერთ უბანში 18—20 მეტრამდისაც აღწევს. კარობის საბადოს მადნის გაუხვების ცდები იძლევიან უაღრესად ხელსაყრელ მაჩვენებლებს. გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის ამიერ - კავკასიის განყოფილებამ ჩაატარა მადნის გაუხვება ფლოტაციის მეთოდით და მიიღო 93 პროცენტამდე წმინდა ლითონი.

კარობი ოსეთის სამხედრო გზას დაშორებულია 25 კილომეტრით. მას არა აქვს განსაკუთრებით მძიმე პროფილი. შედარებით მცირე ხარჯება საჭირო, რომ ეს გზა გადაიქცეს გზატკეცილად და საავტომობილო ტრანსპორტი სავსებით გაუწევს მომსახურეობას მოლიბდენის წარმოებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე რაიონში აღმოჩენილია და [illegible] სამრეწველო ხასიათის საბადოები, გზის საკითხის გადაჭრა ძალიან გაადვილდება.

კარობის მოლიბდენის საბადოს მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ მადნის შემადგენლობაში აღმოჩნდა მეორე იშვიათი ლითონი - რენიუმი.

ლითონი რენიუმი მხოლოდ 8 წლის წინათ აღმოაჩინეს. მანამდე იგი უცნობი იყო. ამ ხნის განმავლობაში ეს ლითონი სწრაფად შეიჭრა წარმოებაში, პირველ წლებში მისი ამოღება არ აღემატებოდა რამდენიმე გრამს და თვითეული გრამი რენიუმის ღირებულება აღწევდა 40 ათას გერმანულ მარკამდე. უკანასკნელ წლებში რენიუმ - მჟავა კალიუმის საქარხნო წარმოება შეადგენს 200 კილოგრამს წელიწადში, ხოლო თვითეული გრამის ღირებულება — 13 გერმანულ მარკას.

ლითონი რენიუმი ერთერთი ყველაზე უფრო იშვიათი ელემენტია. დამოუკიდებელი მადნის სახით იგი არ არსებობს და მოიპოვება მხოლოდ ზოგიერთ იშვიათ ლითონში მეათასედი და მეათიათასედი პროცენტის რაოდენობით. რენიუმის იშვიათი ფიზიკური თვისებანი უზრუნველყოფენ მის დიდ მნიშვნელობას. რენიუმს და მის შენადნობებს ხმარობენ ელექტროტექნიკურ მრეწველობაში ელექტრონის ძაფებისა და ელნათურებისათვის. რენიუმის ხმარება ელნათურებში საგრძნობლად ახანგრძლივებს მათი გამოყენების ვადას და ელნათურები ბიძგების და შერყევის უფრო ამტანი ხდებიან. ამასთან დაკავშირებით ნათურები რენიუმის ძაფებით ფართოდ ვრცელდება რადიოაპარატურაში და მოძრაობის საშუალებებში—„აეროპლანებსა, ავტომობილებსა, ტანკებსა და სამხედრო - საზღვაო ტრანსპორტში. ძვირფას ელემენტს წარმოადგენს რენიუმი ქიმიურ მრეწველობაში (განსაკუთრებით სამხედრო - ქიმიურ მრეწველობაში) ორგანულ შენაერთების სინთეზში, რამდენადაც მას აქვს მაღალი კათალიზური თვისებები.

ამგვარად, რაჭის რაიონის მოლიბდენის მადანი ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს ვაწარმოოთ ერთბაშად ორი იშვიათი ლითონის მოპოვება— მოლიბდენის და რენიუმისა. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირისათვის მას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. იგი საგრძნობლად აფართოებს ყველაზე უფრო ძვირფას იშვიათ ლითონების რესურსებს. იშვიათი ლითონების და ელემენტების საკავშირო გაერთიანება (რედმეტი) მომავალი 1934 წლიდან ზემორაჭაში აწყობს მოლიბდენის მომპოვებელ წარმოებას. იქვე აგებულ იქნება საფლოტაციო ფაბრიკა. ფერო - მოლიბდენის წარმოება კი უნდა მოეწყოს ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში.

მოლიბდენის საბადოების აღმოჩენა სამრეწველო მარაგით კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ უსაფუძვლოა ზოგიერთი გეოლოგის სკეპტიკური დამოკიდებულება ამიერ - კავკასიის და კერძოდ საქართველოს შესაძლებლობებისადმი. დღითი-დღე აშკარა ხდება, რომ ჩვენ აქ გვაქვს მეტად ძვირფასი მინერალები და ლითონები, რომლებიც განსაკუთრებით გვესაჭიროება საბჭოთა კავშირის მრეწველობის ახალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარგებისათვის (ავტოსატრანსპორტო, საავიაციო მრეწველობა).

საჭიროა გავაჩაღოთ და გავაძლიეროთ იშვიათი ლითონების საბადოების შესწავლა და გამოკვლევა. მთელი რიგი ნიშნები მოწმობს, რომ ჩვენ გვაქვს სათანადო პირობები მათ მოსაპოვებლად სამრეწველო ოდენობით. ამ დარგში ჩატარებულმა მცირეოდენმა მუშაობამ უკვე მოგვცა დადებითი შედეგები. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ აღმოჩნდა, რომ შავი ზღვის სანაპიროების მაგნიტის ქვიშა შეიცავს იშვიათ ლითონს ვანადიუმს სამრეწველო ოდენობით. ძირულის კრისტალურ მასივში პეგმატიტის ფენებში აღმოჩნდა ლითონი ბერილიუმი, მაგრამ სამწუხაროდ საძიებელი სამუშაოები ჩატარდა მცირე უბანზე, მაშინ როცა პეგმატიტები ფართოდ არის გავრცელებული. სამხრ.-ოსეთში. მდინ. ნაპირებზე აღმოჩენილ იქნა კალა ნიკელის საბადო, რომელსაც წინასწარი შეფასებით სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. ბორჩალოს რაიონში მდინარე დამბლუდკას და ყარასუს ნაპირებზე აღმოჩენილ იქნა კალა (დეტალური გამოკვლევა აქამდის არ ჩატარებულა). ლითონი კადმიუმი აღმოჩნდა სამხრეთ ოსეთში კუდაროს ტყვია-თუთიის მაღაროებში. აღნიშნავენ, რომ ხაშურის რაიონში სოფელ ძანში შესაძლებელია ვოლფრამის მადნის აღმოჩენა. ამიერკავკასიის გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის მუშაკების აზრით ძირულის მასივის სერპანტინები და ტალკის ქანები შეიცავენ პლატინს. ყოველივე ეს განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ჩვენი მიწის წიაღის დეტალურად შესწავლისადმი, განსაკუთრებით იშვიათი ლითონების და ელემენტების შესწავლისადმი.

ს. გოდაბრელიძე.

საწყობები ისევ გადატვირთულია

(„კომუნისტი"-ს სპეციალური კორესპონდენტისაგან)

„კარლ-მარქსი", „ილიჩი", „აზნაშეინი", „პიონერი" და სხვა საბჭოთა გემები, პურით დატვირთულნი დგანან ფოთის ნავთსადგურში. ისინი პირველად არ მოსულან აქ და არც უკანასკნელია მათი რეისი. გემები განუწყვეტლივ მოდიან ნავთსადგურში, საწყობები გადატვირთულია პურით, მინდვრადაც ბევრია ფქვილით სავსე ტომარა.

რკინისგზის ტრანსპორტმა საათის მექანიზმივით უნდა იმუშაოს, რომ პირნათლად შეასრულოს დაკისრებული ამოცანა: დროზე გაიტანოს პური ნავთსადგურიდან და გაგზავნოს დანიშნულებისამებრ. ასეთი ამოცანა დგას კერძოდ ამიერ-კავკ. რკინისგზების პირველი საექსპლოატაციო რაიონის წინაშე; მაგრამ მეორე რაიონიც ვერ აუხვევს გვერდს პასუხისმგებლობას ამ საკითხში, რადგან ვაგონებს სწორედ ეს რაიონი აწვდის ბათომსა და ფოთს.

მერედა, როგორ მუშაობს რკინიგზა? ციფრები ასეთ სურათს იძლევა: პირველიდან 20 სექტემბრამდე ფოთში პურით უნდა დატვირთულიყო 2815 ვაგონი, ფაქტიურად დატვირთულია 1986 (829 ვაგონით ნაკლები). 17 სექტემბრიდან დატვირთვის დღიური დავალება გადიდებულ იქნა 125-დან 180 ვაგონამდის, ფაქტიურად კი სადგურმა 14 სექტემბერს დატვირთა 155 ვაგონი, 18-ს—167, 19 სექტემბერს—127 და 20 სექტემბერს—112 ვაგონი. ეს ისეთი „გარდატეხაა", რომელიც მხოლოდ სადგურ ფოთის უფროსს მარკოზ ნიკოლოზის ძე რომანიშვილს აკმაყოფილებს.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ეს კაცი ატყუებდა პარტიას და ხელისუფლებას. ხშირი იყო ასეთი შემთხვევა: ვაგონს დატვირთავდნენ, შემდეგ აღმოჩნდებოდა რაიმე დეფექტი და საჭირო ხდებოდა ამ ვაგონის შემადგენლობიდან გამოყვანა. ზოგჯერ ასეთი ვაგონების რიცხვი 50-მდის აღწევდა, სადგურის უფროსი რომანიშვილი კი ცნობას იძლეოდა: ვაგონები დატვირთულია, დღიური დავალება შესრულებულია. რომანიშვილის წინააღმდეგ მიიღეს ზომები, სექტემბრის პირველ რიცხვებში გაასამართლეს და მიუსაჯეს 6 თვის იძულებითი მუშაობა. კონკრეტული საქმე, პურის გადაზიდვის გეგმის შესრულება, ყველაზე უკეთ გვიჩვენებს, თუ რა დასკვნები გამოიყვანა რომანიშვილმა ამ სასჯელიდან.

პურის გადაზიდვის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი უმთავრესად ვაგონების ნაკლებობაა. მეორე საექსპლოატაციო რაიონი არ გზავნის გეგმით ნავარაუდევ ვაგონებს (180 ვაგონი დღეში). მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. გამოგზავნილი ვაგონების გამოყენება ხშირად შეუძლებელია რომელიმე მისი ნაწილის დაზიანების გამო. სადგურ ფოთს მეორე საექსპლოატაციო რაიონმა, მცირე გამონაკლისის გარდა, არ უნდა უგზავნოს შესაკეთებელი ვაგონები, რადგან ფოთის სავაგონო დეპოს თვეში მხოლოდ 6 ვაგონის შეკეთება შეუძლია. მეორე რაიონი არ იცავს ამ წესს; მაგ. 20 სექტემბერს ფოთმა მიიღო 23 ვაგონი, რომელთა ნახევარი შესაკეთებელი იყო. სადგური ასეთ შემთხვევაში ამ ვაგონებს იყენებს არადანიშნულებისამებრ (მაგ. შეშის გადასაზიდად). საინტერესოა, როდემდის უნდა გაგრძელდეს მეორე რაიონის ასეთი დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა?

არსებობს წესი, რომლის მიხედვით სადგურმა ვაგონები უნდა მიიღოს ნაწილ-ნაწილად და სისტემატიურად (60 ვაგონი ყოველ 8 საათში). რა ხდება ნამდვილად? საღამოს 7 საათიდან დილის 6 საათამდე ფოთის სადგურში უმოქმედობაა. ეს მართალია რომ „მკვდარი საათები". მტვირთავი მუშები უსაქმოდ არიან, სადგურის მორიგე პერსონალს სძინავს, ყველაფერი მიყუჩებულია. დილის 6 საათიდან კი იწყება „ციებ-ცხელება", ფაცი-ფუცი. ამ დროისათვის მოდის, მოდის ერთბაშად, რამდენიმე შემადგენლობა... თავის გამართლება არ შეუძლიათ არც მეორე, არც პირველ საექსპლოატაციო რაიონს, საჭიროა ვაგონების გადატვირთვის, დასუფთავების, შეკეთების და მოძრაობის ისე მოწესრიგება, რომ სადგური ვაგონებს იღებდეს განრიგის მიხედვით.

ხშირად სადგური ღებულობს დატვირთულ ვაგონებს, რომლებიც უნდა დაცალოს საბჭოთა სავაჭრო ფლოტმა („სოვტორგფლოტ") და მერე გამოყენებულ იქნეს პურისათვის. ვაგონების გაცლის ვადა განსაზღვრულია 4 საათი, მაგრამ ამ ნორმას [illegible] იშვიათად იცავენ. მაგ. 16 სექტემბერს 24 ვაგონი გაცლა 829 საათს, 17 სექტემბერს 12 ვაგონი არ დაუცლიათ 195 საათის განმავლობაში. ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი 6, 10 და 12 სექტემბერს.

როგორც აღვნიშნეთ, სადგურში, ვაგონების უქონლობის გამო ღამით მუშაობა შეჩერებულია, მაგრამ ვაგონები თუნდაც იყოს, სადგური მაინც ვერაფერს ვერ გააკეთებს. რატომ? იმიტომ, რომ სავაგონო დეპოს მიდამო გაუნათებელია და ღამით შეუძლებელი ხდება ვაგონების გასინჯვა, 7 სექტემბერს რომანიშვილს „გაახსენდა", რომ ამ დაბრკოლების დასაძლევად არსებობს საშუალება—ელექტროგანათება. იმ საღამოსვე მან გაგზავნა დეპეშა რაიონში; იქიდან 9 სექტემბერს გამოაგზავნეს მონტიორი, რომელმაც ხარჯთაღრიცხვა შეადგინა. საჭირო ყოფილა ხაზის გაყვანა 300 მეტრზე და 60 ელექტრონათურა. მონტიორი გაბრუნდა. საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ 21 სექტემბერსაც კი არაფერი არ იყო გაკეთებული დეპოს მიდამოს განათებლად. რა უნდა დაერქვას ამას? ეს ხომ მეტია, ვიდრე დაუდევრობა. რატომ ტრანსპორტის პროკურორმა დღემდე არ დასაჯა ბოროტმოქმედნი, რომელნიც აშკარად ხელს უწყობენ პურის გადაზიდვის გეგმის ჩაშლას?

მეოთხე კვარტალში პურის გადაზიდვის დღიური დავალება იქნება 250 ვაგონი. თუ რკინისგზამ ახლანდელი ტემპებით იმუშავა, აუცილებლად ჩაშლის ტვირთზიდვის გეგმას. პირველ ყოვლისა, ნავთსადგური უზრუნველყოფილ უნდა იქნას ჯანსაღი ვაგონებით. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ საწყობში პური არ ჩერდებოდეს ერთ დღეზე მეტს; ამისათვის მარტო ვაგონები არ კმარა. საბჭოთა სავაჭრო ფლოტს არ ყოფნის მტვირთავი მუშები. 1400-ის ნაცვლად 21 სექტემბერს ითვლებოდა სულ 855 მუშა. მუშათა დანაკლისი ამ დღეებშივე უნდა შეივსოს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადატვირთვა-დატვირთვის პროცესების მექანიზაციას. კერძოდ, უნდა დაჩქარდეს „ნორიას" სისტემის მანქანების დამზადება. ეს მანქანა გამოიგონა ნავთსადგურის მუშა **ხიხარულიძემ.** მას გემიდან მექანიკურად ამოაქვს ხორბალი და აწვდის ტრანსპორტიორებს; დღემდე დადგმულია მხოლოდ ერთი ასეთი მანქანა; საჭიროა საბჭოთა სავაჭრო ფლოტმა დაძლიოს კონსერვატიზმი და მასობრივად დაამზადოს ასეთი მანქანები.

გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს **ნავთსადგურის განმტკიცება კომუნისტებით.** პურის გადაზიდვაზე დღემდე არც ერთი კომუნისტი არ მუშაობს. ფოთის საქალაქო კომიტეტი ამ მხრივ უნდა დაეხმაროს ნავთსადგურს.

21 სექტემბრისათვის ნავთსადგურის საწყობებში მოთავსებული იყო 560 ვაგონი პური, ხოლო გემებში 554 ვაგონი. პური თანდათან მატულობს. ეს უნდა იქონიონ მხედველობაში პირველი და მეორე საექსპლოატაციო რაიონების მუშაკებმა.

ან. ჟურუა.
ფოთი, — 23 სექტემბერი.

სახერხმა ქარხნებმა თავი უნდა დააღწიონ სამარცხვინო ჩამორჩენას

ქუთაისის სახერხმა ქარხანამ ჩაშალა ექსპორტის გეგმა.

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი თავის უკანასკნელ გადაწყვეტილებაში ხე-ტყის მრეწველობის მუშაობის შესახებ, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მათ გარდაქმნან თავიანთი მუშაობა იმგვარად, რათა უზრუნველყოფილი იქნას ხე-ტყის დამზადების დავალებათა მთლიანათ შესრულება. მიუხედავათ ამისა, ხე-ტყის რაიონების ზოგიერთი პარტიული, პროფესიული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობა დღემდე არაა გარდაქმნილი სამხარეო კომიტეტის დადგენილებათა მიხედვით, ბრძოლა ამხ. სტალინის 6 ისტორიულ მითითების გატარებისათვის ხე-ტყის მრეწველობაში თვითმიმდინარეობაზე დაყრდნობილი პარტიული მუშაობის ძველებური ფორმები და მეთოდები ვერ უზრუნველყოფენ უპარტიო მუშათა ფართო მასების ბოლშევიკური აგიტაციის პოლიტიკური ზემოქმედების ქვეშ მოქცევას. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ ფაქტები ქუთაისის სახერხი ქარხნის და სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ამბროლაურის განყოფილების მუშაობის პრაქტიკიდან. ავამეტყველოთ უტყუარი ფაქტები.

ქუთაისის სახერხმა ქარხანამ აგვისტოში საწარმოო დავალება შეასრულა 100,5 პროც. მიმდინარე წლის რვათვის განმავლობაში ქარხანას უნდა დაემზადებია 3919 კ.მ. ხე-ტყის მასალა, ფაქტიურად დამზადებულ იქნა 3735 კ.მ. ანუ გეგმის 95,3 პროც. უფრო მეტი ჩამორჩენაა საექსპორტო ხე-ტყის დამზადების საქმეში. ქარხანამ პირველ ოქტომბრამდე უნდა დაამზადოს და გაგზავნოს 505 კ.მ. სატყეო მასალა დაამზადა და გაგზავნა 370 კ.მ. ანუ დავალება შესრულდა 73,2 პროც.

სამარცხვინო ჩამორჩენას აქვს ადგილი ხის დაცურების საქმეში. ხე-ების დაცურების წლიური გეგმა ქუთაისის სატყეო - სამრეწველო მეურნეობის ამბროლაურის განყოფილებამ მხოლოდ 40 პროც. შეასრულა. გეგმით უნდა ჩამოეცურებიათ ქარხნისათვის 13.000 კ.მ. ჩამოცურებულია მხოლოდ 5058 კ.მ. **ნედლეულის უქონლობის გამო საფრთხეშია ქარხნის შემდგომი მუშაობა, დამზადებული ხე-ტყის გაზიდვის და ქარხნისათვის ნედლეულის მიწოდების საქმეში სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს რკინის გზის პირველი საექსპლოატაციო რაიონი.** რკინის გზის ტყიბულის ხაზზე დაგროვილია 150 კუბ. საჟენი შეშა და 12 ვაგონი საექსპორტო წიფელა, რომელიც ვაგონების მიუწოდებლობის გამო რამოდენიმე კვირაა ცის ქვეშ ყრია; სვირის და ოჯახეთის რკინის გზის ხაზზე ერთ თვეზე მეტია ყრია და ფუჭდება ჭიათურის მაღაროებისათვის დამზადებული ბიგები 500 კ.მ. რაოდენობით. ქუთაისის სატყეო - სამრეწველო მეურნეობა ამ მდგომარეობის წინააღმდეგ არ ღებულობს გადამჭრელ ზომებს.

რა იწვევს ჩამორჩენას საწარმოო დავალებათა შესრულების საქმეში?

ის, რომ მოუქნელია ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა; ქუთაისის სახერხი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ გარდაქმნა პარტმასობრივი და პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობა ახალი ფორმებისა და მეთოდების მიხედვით. სახერხ ქარხანაზე არ ჩანს პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობა, ამბროლაურის რაიონის პარტიული ორგანიზაცია სრულიად არა საკმაო ყურადღებას აქცევს ხე-ტყის დაცურებას. ქუთაისის სახერხ ქარხანაში მუშაობს 47 კაცი, აქედან პარტიის წევრი და კანდიდატია 12, პარტუჯრედთან გამოყოფილია ერთი პარტორგანიზატორი და ორი პარტჯგუფი, ძირეულ პარტრგოლებზე სრულებით არა დამაკმაყოფილებელია პარტუჯრედის ბიუროს ხელმძღვანელობა. მიმდინარე წლის პარტუჯრედის ბიურომ მხოლოდ ორჯერ მოიწვია პარტჯგუფების და პარტორგანიზატორების თათბირი. ძირეულ პარტიულ რგოლებს შორის არ წარმოებს ურთიერთ დადებითი გამოცდილების გაზიარება. ქარხანაში ყურადღება არ ექცევა შრომის ახალი ფორმების სათანადოდ გამოყენებას. მართალია ჩამოყალიბებულია დამკვრელი ბრიგადები, ბრიგადებ შორის დადებულია სოცშეჯიბრების ხელშეკრულებები, მაგრამ მათ შესრულების შემოწმებას არავინ ყურადღებას არ აქცევს; ცალკე მუშებს შორის არაა გაშლილი ინდივიდუალური შეჯიბრება, **ქარხნის პარტუჯრედის მდივანი და ქარხკომის თავ-რე ამტკიცებენ, რომ ბრიგადებს შორის ინდივიდუალური სოცშეჯიბრების გაშლა შეუძლებელია,** რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

ხშირად ცალკე კომუნისტები ვერ ამართლებენ ავანგარდულ როლს, ისინი ჩამორჩებიან უპარტიო მუშებს საწარმოო დავალებათა შესრულებაში. ამხ. კობახიძე, ახვლედიანი, გოცირიძე და სხვ. სისტემატიურად გაურბიან პარტიულ დავალებებს.

ამასთანავე არიან ისეთი კომუნისტები, რომლებიც მუშაობის დადებითი ნიმუშებს იძლევიან. ასეთებია მაგ. ამხ. **თოთიბერიძე**, რომელმაც აგვისტოს გეგმა შეასრულა 102,5 პრ. ჯგუფორგანიზატორი ამხ. **ლოლაძე** (გეგმა შეასრულა 100,8 პრ.). ასეთივე საუკეთესო დამკვრელია მაღალ დაზგაზე მომუშავე ამხ. **მიქაბაძე.**

ქარხნის პარტუჯრედის ბიუროსთან **გამოყოფილია სხვადასხვა სექტორები, მაგრამ მათი მუშაობა თვითდინებაზეა მინდობილი.** პარტუჯრედის ბიუროს არც ერთხელ არ მოუსმენია სექტორის ხელმძღვანელთა მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ და არ მიუცია პრაქტიკული მითითებანი მუშაობის შემდგომი გაშლისათვის, **ბრძოლა ამხ. სტალინის ექვს ისტორიულ მითითებათა რეალიზაციისათვის მეტ წილად ფორმალურ ხასიათს ატარებს.** დაზგებსა და მანქანა იარაღებზე გაუპიროვნების სალიკვიდაციოთ მიმაგრებული არიან მუშები, მაგრამ მაინც ადგილი აქვს გაუპიროვნებასა და სამუშაოსადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების მთელ რიგ შემთხვევებს, ქარხანაში არაა საკმაო რაოდენობის ვაგონეტკები, რაც ხელს უშლის ნორმალურ მუშაობას; ხშირია ხერხის გაწყვეტა.

ყოველივე ამის წინააღმდეგ ადგილობრივი პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციებს არ მიუღიათ გადამჭრელი ზომები.

არა დამაკმაყოფილებელია მუშათა კვება, მუშებისათვის სასადილოში მზადდება მხოლოდ ერთი თავი საჭმელი.

მეტივე მუშები არ არიან უზრუნველყოფილი ბინებით, ამ გარემოებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს ქუთაისის სატყეო - სამრეწველო მეურნეობის ამბროლაურის განყოფილება, რის გამო ადგილი აქვს მუშათა ხშირ ცვალებადობას, მეტივეთა **შორის ადგილობრივი ორგანიზაციები არ აწარმოებენ პარტიულ და მასობრივ პოლიტიკურ მუშაობას.** დიდია მუშათა ხელფასის დავალიანება, მეტივე მუშების და ამბროლაურის განყოფილებას შორის დადებული ხელშეკრულება არ სრულდება. **მუშებს ტივების შესაკრავათ არ აქვთ სათანადო ხელსაწყოები და მასალები.** ამ გარემოებას საქ. სატყეოს ამბროლაურის განყოფილების უფროსი ამხ. გ. ენუქიძე გულზე ხელდაკრეფილი შეჰყურებს.

ქუთაისის სახერხ ქარხანას ელექტროენერგიას აწვდის აბჰესი, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა ენერგიის უქონლობის გამო ქარხანაში მუშაობა შეჩერებულია.

ქუთაისის სახერხი ქარხნის მუშაობა საფრთხის წინაშე სდგას. ქარხანა არაა უზრუნველყოფილი ნედლი მასალით, ტივები დაგროვილია რიონჰესის სათავესთან და განუწყვეტელი დავა წარმოებს იმის შესახებ, თუ როგორი საშუალებით უნდა იქნეს ისინი გამოზიდული.

ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ქარხნის მუშაობის რაც შეიძლება სწრაფად გაჯანსაღებისათვის.

არტ. ალიბეგაშვილი.

მზა პროდუქცია დროზე უნდა გაიზიდოს

(მცხეთის სახერხი ქარხანა)

24 სექტემბერს მცხეთის სახერხ ქარხანაში დიდი შაბათობა გაიმართა. ქარხანასთან მდებარე ნედლი მასალის შესანახი და მზა პროდუქციის დასაწყობი ეზოები აჭედებულია პირველი—დაუხერხი, ხოლო მეორე დახერხილი ხე-ტყით. ქარხნის ეზოში სრულიად არ მოიპოვება დახერხილი ხე-ტყის დასაწყობი ადგილი; ამის გამო ქარხნის ხელმძღვანელობა ხშირად იძულებული ხდებოდა შეეჩერებინა სახერხი დაზგების მუშაობა. შაბათობის მიზანი სწორედ ქარხნის ეზოს განტვირთვა იყო.

შაბათობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ ავჭალის, მცხეთის და ძეგვის კოლმეურნეები. გამოვიდა აგრეთვე № ქართული ლეგიონის ასეული. სულ შაბათობაში მონაწილეობა მიიღო 400-მდე კაცმა, რომლებმაც დატვირთეს 14 ვაგონი ხე-ტყე, მათ შორის ერთი ვაგონი საექსპორტო ხე-ტყის მასალით. სხვათა შორის, საექსპორტო ხე-ტყის დასატვირთად ა.-კ. რკ. გზების დირექციას ამ დღეს ქარხნისათვის უნდა მიეწოდებინა 5 დახურული ვაგონი, ნამდვილად კი მიაწოდა 1 ვაგონი. სამაგიეროდ რკინის გზის დირექცია უკანასკნელ დღეებში გადაჭარბებით ასრულებს ღია ვაგონების მიწოდების გეგმას და ეს იმედს იძლევა, რომ მეოთხე კვარტალის განმავლობაში ქარხანა დაფარავს განვლილი რვა თვის ჩამორჩენილობას და წლიურ გეგმას მთლიანად შეასრულებს.

სადილობის დროს ბრიგადებმა შეაჯამეს ჩატარებული მუშაობის შედეგები. აღმოჩნდა, რომ ნახევარი დღის განმავლობაში შესრულებული იყო ისეთი სამუშაოები, რომელსაც ჩვეულებრივ პირობებში ქარხანა ორ დღეს მოანდომებდა. შაბათობის ჩატარებაში დაუღალავი და ნაყოფიერი მუშაობით თავი ისახელეს წითელარმიელებმა **გრ. ზღუდაძემ და შიო დონგოლაძემ,** სოფ. სასხორეთის კოლმეურნეებმა **ლადო ჯავახიშვილმა** (კომკავშირელია), **ლექსო ხიზანაშვილმა და ვ. ჯავახიშვილმა,** ძეგვის კოლმეურნე ქალებმა **ნაზელა სოლოღაშვილმა და ვარო მარგალაშვილმა.**

შაბათობის მონაწილეთა შორის აღმოჩნდენ შრომის დეზერტირებიც, რომლებმაც მოშორებით ბუჩქებს შეაფარეს თავი და მხოლოდ სადილად გამოცხადდნენ. ასეთნი არიან **ნიკო ჯავახიშვილი** (სოფ. სასხორეთიდან), **ირაკლი ბერიაშვილი** (სოფ. ყარალაჯიდან, ქარხნის ძირითადი მუშა, კომკავშირელი) **და ნინო გიორგობიანი.**

მცხეთის ქარხანამ დეკემბრამდე უნდა დახერხოს და გამოუშვას 12.500 კუბ. მეტრი ხე-ტყე. ეს დავალება სავსებით რეალურია და მისი შესრულება ქარხანამ უნდა შესძლოს, რადგან მას საამისოდ ყოველგვარი პირობა ხელთ ექნება.

საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის უკანასკნელი დადგენილების შესასრულებლად, ქარხანა უკვე გადაყვანილია ორცვლიან მუშაობაზე. ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა შეცვლილია. პარტუჯრედის მდივნად გამოყოფილია ძველი მუშა ამხ. **ელიზბარ სარია.**

ნედლი მასალის მიწოდების მხრივ მდგომარეობა გადაჭრით გაუმჯობესდა. ქარხანა სისტემატიურად ღებულობს ხე-ტყეს თელავის, გურჯაანის და ტფილისის სატყეო სამრეწველო მეურნეობებისგან.

ქარხანაში ჩამოსული ა.-კ. რკ. გზების დირექტორი ამხ. როზენცვეიგი შეჰპირდა ქარხნის ხელმძღვანელობას, რომ ამიერიდან ვაგონების მიუწოდებლობა აღარ დააბრკოლებს ქარხნისათვის ნედლეულის მომარაგებას. ამხ. როზენცვეიგმა აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში იგი ქარხანას მიაწოდებს საჭირო რაოდენობის ვაგონებს დაგროვილი მზა პროდუქციის გასაზიდად.

ქარხანაში გეგმის შეუსრულებლობის საფრთხეს ქმნის მუშა-ხელის სიმცირე. ქარხანას სჭირდება უმთავრესად დატვირთვაზე მომუშავეები. სოფლებიდან გამოდიან მუშები, მაგრამ ქარხანა ვერ ახერხებს მათ შენარჩუნებას, თუმცა საამისოდ ქარხანა ყოველ მხრივ მოწყობილია: აქვს ბინები, კვება კარგია, ფინანსიური დაბრკოლებები გადალახულია და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუშა-ხელის დენადობაში ბრალი მიუძღვის ზოგიერთ სასოფლო საბჭოს. და კოლმეურნეობათა გამგეობებსაც. ძეგვიდან ჩამოსული კოლმეურნეები ქარხანაში სამუშაოდ დარჩენ 6 დღეს. 23 სექტემბერს მათ მოითხოვეს ანგარიშის გასწორება და დაბრუნდენ სოფელში

ეს გარემოება მოწმობს, რომ ზოგიერთ სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობაში მართებულად ვერ გაუგიათ პარტიისა და ხელისუფლების მითითება ხე-ტყის სამუშაოებისათვის მუშა-ხელის მიწოდების შესახებ. საჭიროა სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა სათანადო მუშაობა გააჩაღონ ამ მხრივ და არ დაუშვან ასეთი დამახინჯებანი.

ქარხანას ამჟამად სჭირდება სახერხ დაზგებზე მომუშავე 10 კვალიფიციური მუშა. ეს მუშები არ გამოძებნეს უახლოეს დღეებში, დაბრკოლდება ქარხნის ორ ცვლად მუშაობა და გეგმის შესრულებაც საფრთხეში ჩავარდება. საქ. ხე-ტყის მრეწველობის ტრესტმა უნდა გამონახოს სახერხ დაზგებზე მომუშავე კვალიფიციური მუშები. ეს ამოცანა მან დაკვირვით წესით უნდა შეასრულოს.

დ. ლ.

შაბათობა მცხეთის სახერხ ქარხანაში.—დახერხილ მასალის საწყობის განტვირთვა

დადგა მასიური თესვის პერიოდი

მთელი ძალები სამარცხვინო ჩამორჩენის გამოსწორებისათვის ხვნასა და, სათესლე ფონდების შეგროვება-გაწმენდაში

ისევ სათესლე ფონდების შესახებ

საშემოდგომო კულტურებისათვის სათესლე ფონდების დროზე გამოყოფას, გაწმენდასა და შეწამვლას, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თესვის დავალებათა შესრულებისათვის ამაზე არა გვგონია საჭირო იყოს სიტყვის გაგრძელება. მაგრამ ირკვევა, რომ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ზოგიერთ რაიონების და სოფლის მუშაკებს არა აქვთ სათანადოდ შეგნებული.

თესვისათვის მოსამზადებელი მუშაობის ყველა ვადები თითქმის ამოიწურა. 20 სექტემბრიდან დადგა მასიური თესვის პერიოდი, ცხადია ამ დროისათვის მთლიანად დამთავრებული უნდა ყოფილიყო სათესლე ფონდების როგორც გამოყოფა, ისე გაწმენდა და შეწამვლა.

ეს ასე უნდა ყოფილიყო, ფაქტიურად კი მდგომარეობა ასეთია: საშემოდგომო კულტურების სათესლე ფონდები 129,832 ცენტნერიდან შეგროვილია მხოლოდ 890.54 ცენტნერი, ანუ რესპუბლიკანური გეგმის 65,6 პროცენტი, აქედან ხორბლის თესლი შეგროვილია, 91,263 ცენტნერი, ანუ გეგმის 76,3 პროცენტი.

ჩვენ არ ვიცით როდის და როგორ აპირებს მდგომარეობის გამოსწორებას ადიგენის რაიონი, რომელსაც სათესლე მასალის შეგროვების გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 15,5 პროცენტით. ან ბორჯომის რაიონი, რომელმაც გეგმა 20 სექტემბრისათვის შეასრულა მარტო 29 პროცენტით.

სამხრეთ-ოსეთში და დუშეთის რაიონში მასიური თესვის პერიოდი დაიწყო 15 სექტემბრიდან, 20 სექტემბრისათვის კი სათესლე ფონდების შეგროვების გეგმა სამხრეთ-ოსეთს შესრულებული ჰქონდა 28,7 პროცენტით, ხოლო დუშეთის რაიონს 32.3 პროცენტით.

ეს ცნობები მოწმობენ, რომ თვითდინებობა საშემოდგომო თესვისათვის, მზადების მეტად საპასუხისმგებლო უბანზე ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი, დემობილიზაციის განწყობილება არ არის ალიკვიდირებული და გადამჭრელი წინააღმდეგობა არ ეწევა კულაკური ელემენტების წინააღმდეგობას, რომელნიც საშემოდგომო თესვის წარმატებით ჩატარების შეფერხებას ლამობენ.

საქართველოს კ.პ. (ბ) ცკას და საქართველოს სახკომსაბჭოს 17 აგვისტოს დადგენილებით. ადგილებს უნდა უზრუნველეყოთ მთელი სათესლე მასალის 100 პროცენტით გაწმენდა და შეწამვლა 15—20 დღით ადრე თესვის დაწყებამდე. ამ დირექტივის შესრულება დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს. საქ. მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობებით, 20 სექტემბრისათვის სათესლე მასალა შეწამლული იყო 30.476 ცენტნერი, გეგმის 7,6 პროცენტი, ხოლო გაწმენდილი 62.264 გეგმის 15,8 პროცენტი.

აქედან სჩანს, თუ რა უპასუხისმგებლობას იჩენენ მთელი რიგი ადგილობრივი ორგანიზაციები მოსავლიანობის გადიდების უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა გატარებაში.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა გვაქვს დამზღვევი სათესლე ფონდების შეგროვებაში. საქმე იმაშია, რომ გორის, ყვარელის, ლაგოდეხის, ყარაიას, თელავის გარეკახეთის და სხვ. რაიონებში მთელი რიგი სოფლები და კოლმეურნეობები ერთდაიმავე დროს არ აწარმოებენ საშემოდგომო სათესლე და დამზღვევი ფონდების გამოყოფას. არის მიდრეკილება დამზღვევი ფონდების გამოყოფა „შემდეგისათვის" გადასდონ. ზოგან კი სრულიად არ ფიქრობენ ამ ფონდების გამოყოფას (მაგ. სოფ. ჯიმითი, გურჯაანის რაიონში).

ყოველივე ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ დამზღვევი ფონდების შეგროვების დავალება 20 სექტემბრისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 24,1 პროც.

საჭიროა სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღება სათესლე ფონდების შეგროვების, გაწმენდის და შეწამვლის საქმეში არსებული სამარცხვინო ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად. თითოეული სასოფლო საბჭო და სოფლის პარტიული ორგანიზაცია მოვალეა, ყოველ მიზეზს გარეშე უზრუნველყოს მაღალხარისხოვანი თესლით საშემოდგომო და გაზაფხულზე დასათესი მთელი ფართობი. თითოეული კოლმეურნეობა და საკოლმეურნეო ბრიგადა მოვალეა უახლოეს დღეებში დაამთავროს სათესლე მასალის გამოყოფა და მომზადება.

არავითარი დემობილიზაცია, არავითარი თვითმიმდინარეობა,—მივიღოთ ყველა ზომები გავსტეხოთ ოპორტუნისტული და კულაკური ელემენტების საბოტაჟი და დავრაზმოთ მთელი ძალები ფონდების გამოყოფისა და გაწმენდის ღონისძიებათა განაღდებლად.

სამხ.-ოსეთის მიწსახკომი არღვევს თესვის ვადებს

მზადება საშემოდგომო თესვისათვის სამხრეთ-ოსეთში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. თესვის **გეგმები ჯერ კიდევ არ არის დაყვანილი სასოფლო საბჭოებამდე კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობამდე** ხვნის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 43 პროცენტით. სათესლე ფონდების შეგროვება სუსტად წარმოებს. კოლმეურნეობებში შეგროვილია საშემოდგომო ხორბლის საჭირო რაოდენობის მხოლოდ 33 პროცენტი, საგაზაფხულო — 14 პროცენტი, საგაზაფხულო ქერი—19,6 პროცენტი. კიდევ უფრო ჩამორჩენილია დასაზღვევი ფონდების შეგროვება. დასაზღვევი ფონდის შეგროვების გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებულია 15,8 პროცენტით, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეებს ეს მუშაობა ჯერ კიდევ არ დაუწყიათ.

თესლის გაწმენდას, შეწამვლას და **აგრეთვე თესლეულის გადაცვლას ოლქი ჯერჯერობით სრულებით არ შესდგომია.** ცუდად მიმდინარეობს სასოფლო - სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტი. გუთნების შეკეთების გეგმა შესრულებულია—71 პროც., სათესი მანქანების — 50 პრ. და სხვა.

სამხრეთ - ოსეთის მიწსახკომი არ ხელმძღვანელობს საქ. სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის 17 აგვისტოს დადგენილებით დაწესებული საშემოდგომო სამუშაოთა ვადებით. კერძოდ გადაწყვეტილია საშემოდგომო თესვა სამხრეთ-ოსეთში დაწყებულ იქნას ოქტომბრის დამდეგს. ეს იმ დროს, როცა ამისათვის დაწესებული იყო ვადად 15-20 სექტემბერი.

საშემოდგომო თესვისათვის მზადების ყველა დეფექტი სამხრეთ-ოსეთში დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოსწორებული იმ ანგარიშით, რომ უზრუნველვყოთ მომავალი წლისათვის უფრო მეტი რაოდენობის მოსავალი, ვიდრე მიმდინარე წლის (აღს).

გურჯაანი არ აპირებს ჩამორჩენის გამოსწორებას

გურჯაანის რაიონში მუშაობა შემოდგომის თესვის ფრონტზე ისევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სოფ. კაჭრეთში, არაშენდაში, ყანდაურაში და ჯიმითში 15 სექტემბრამდე თესლის გაწმენდა და შეწამვლა სრულიად არ იყო დაწყებული.

ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთ სოფლებში ტრიერების შეკეთებაზე არავის უფიქრია. მაგ. სოფ. არაშენდის საბჭოს თავმჯდომარეა მეტრეველი) აქვს 6 ტრიერი, მაგრამ აქედან არც ერთი არ მუშაობს ს. კაჭრეთში (საბჭოს თავმჯდომარეა თოროზოვი) სრულიად არა აქვთ ტრიერები, იმიტომ რომ მის შეძენაზე დროულად არ ყოფილა მიღებული ზომები. ასეთი მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა სოფლებშიაც.

ზოგიერთ სოფლებში ინდივიდუალურ მეურნეობებამდე თესვის გეგმა—განრიგის მიცემა დღემდე არ დაუმთავრებიათ (არაშენდა, ჯიმითი).

ხვნასა და თესვას სოფ. კაჭრეთში ჯიმითში, ყანდაურაში და არაშენდაში ჯერ არ შესდგომიან მიუხედავათ იმისა—რომ თესვის დრო უკვე დადგა. ამ სოფლის საბჭოების პასუხისმგებელი მუშაკები აცხადებენ „ამ დროს თესვის დაწყება ვის გაუგია.

დრო არ ითმენს, მოვითხოვთ თესვის ფრონტზე არსებული სამარცხვინო ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გამოსწორებას და ამით პასუხისმგებაში მიცემას, ვინც საბოტაჟს უწევს პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებებს თესვის. დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებით.

მ. ზარანდია.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა გაზეთების დასახმარებლად

ვუჩვენოთ ადამიანი!

კრიტიკული მიმოხილვის მაგიერ

ლენინი მოითხოვდა ჩვენი გაზეთებისაგან, რათა მათ ესწავლათ უვარგისის დაგმობა, ბოროტების კონკრეტული მატარებლების მხილება, მოეწოდებიათ კარგის შესწავლისაკენ, აღეზარდათ მასები ცოცხალ კონკრეტულ მაგალითებზე.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ პოლიტგანყოფილებათა გაზეთებს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მათ იციან და ახსოვთ ლენინის ეს მოთხოვნა. მას ყველა გაზეთი ერთნაირად არ ასრულებს. ზოგი ასრულებს კარგად, ზოგი ცუდად, მაგრამ თითქმის ყველა გაზეთში შევიძლიათ ვიპოვოთ მკაცრი კრიტიკა, უვარგისის დაგმობა და კარგის, ახალის, კომუნისტურის ნიმუშებს.

მართალია, თვალში გვხვდება, რომ უარყოფითზე გაზეთები სწერენ უფრო მეტს და უფრო ხალისიანად. როცა საქმე ეხება დადებითს, მაშინ ნაწერი მოულოდნელად მოკლე და ხშირად ენაბლუც ხდება. აი, მაგალითად, შენიშვნა ქვემო ვოლგის მხარის ბრიკოვსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების გაზეთ „სტალინსკოე ზერნოდან".

„მეორე ხუთწლედის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის კოლმეურნეები გრიბუნოვი და მალცევი ბრიგადის საუკეთესო დამკვრელნი არიან. ძნების გადაზიდვის ნორმას 4,5 ჰექტარის ნაცვლად ასრულებენ 5,5 და 6 ჰექტარის რაოდენობით.

დანარჩენმა კოლმეურნეებმა უნდა მიბაძონ მათ მაგალითს".

მორჩა და გათავდა. არც ერთი სიტყვა მეტი. რატომ? განა ძნელი იყო იმის აღწერა, თუ როგორ მუშაობენ ამხანაგები გრიბუნოვი და მალცევი, აღწერა ისე, რომ მართლა შეიძლებოდეს მათგან სწავლა? ნორმების შესრულებისათვის ბრძოლა შეიძლება როგორც ჩამორჩენილთა გაკრიტიკებით, ისე ნიმუშების ჩვენებით, დადებითის ჩვენებით. მოწინავეთა მუშაობის მაგალითს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

როცა გაზეთი აღწერს სანიმუშო კოლმეურნეობას, ბრიგადას ან ცალკე მოწინავე დამკვრელებს, ამას იგი უნდა სჩადიოდეს არა ბაქიობისათვის, რადგან ამ შემთხვევაში იგი ცარიელ ლაყბობას ვერ გასცილდება,—არამედ აღმზრდელობითი მიზნით. საჭიროა მოწინავეთა ჩვენება ისე, რომ ჩამორჩენილებმა ისწავლონ ამ ჩვენებაზე.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ კარგი მუშაობის ნიმუშებს, რომლებიც ნაჩვენებია ჩვენს გაზეთებში, ყურადღებას მიიპყრობს ერთი დიდი ნაკლი. ამ აღწერებში თითქმის არ სჩანს. ადამიანი. უმეტეს შემთხვევაში დამკვრელების, შრომის გმირების შესახებ სწერენ ძალიან ცოტას, უმეტესად კი გაზეთები კმაყოფილდებიან სახელების და გვარების ჩამოთვლით. მოვიყვანთ აქ მხოლოდ ერთ მაგალითს.

კამიშევატსკაიას სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების გაზეთ „უდარნიკში" მოთავსებულია ერთი ბრიგადის მუშაობის დიდი—მთელს გვერდზე აწერილობა სათაურით „ვიბრძოლოთ შეძლებულ ცხოვრებისათვის ისე, როგორც იბრძვიან კომუნარები". საქმე ეხება კომუნას „ბორბა ზა სოციალიზმ". და მთელს გვერდზე არის მხოლოდ ერთი ასეთი პატარა აბზაცი:

რამდენიმე სიტყვა ჩვენს საუკეთესო დამკვრელებზე, რომელნიც მთლიანად გადაჭარბებით ასრულებენ ნორმებს, დავასახელებ საუკეთესო მათ შორის: შიპოვს, მაქსიმენკოს, კილჩენკოს, კირიჩენკოს, მელიხს ალექსეენკოს".

ასეთი მაგალითები ასობით შეგვიძლია მოვიყვანოთ.

პოლიტგანყოფილების გაზეთი მომსახურებას უწევს მცირე ტერიტორიას: მას შედარებით ცოტა მკითხველი ჰყავს მაგრამ სამაგიეროდ იგი ძირეულ ფენებამდე აღწევს. იგი პოლიტიკურ ცხოვრებაში აბამს მკითხველთა ისეთ ფენებს, რომელთათვის წინად გაზეთები ყოველთვის არ იყო ხელმისაწვდომი. ამ გაზეთის მკითხველისათვის უფრო მახლობელი ხდება გაზეთი და საკითხები, რომლებსაც იგი არჩევს, როცა მკითხველი მის ფურცლებზე დაინახავს მეზობელ კოლმეურნეობათა დამკვრელებს, ხშირად მისთვის ნაცნობ ადამიანებს, როცა იგი დაინახავს როგორ მუშაობენ ეს ადამიანები და რა მიღწევები აქვთ.

თუ მოწინავე, დამკვრელ ადამიანთა ჩვენების ამოცანა დგას ყველა ჩვენი გაზეთის წინაშე, მით უმეტეს მწვავედ დგას ეს ამოცანა პოლიტგანყოფილებათა გაზეთების წინაშე. პოლიტგანყოფილების თვითეულმა გაზეთმა რეგულიარულად უნდა უჩვენოს თავის ფურცლებზე იმ კოლმეურნეობების საუკეთესო ადამიანები, რომლებსაც იგი მომსახურებას უწევს, რათა ამ ადამიანებს იცნობდენ ყველანი —როგორც მოხუცნი, ისე ახალგაზრდები. რათა ამ ადამიანების მაგალითს მისდევდნენ, რათა მათგან სწავლობდნენ მუშაობას.

ისმება კითხვა: როგორ უნდა გაკეთდეს ეს?

ჯერჯერობით, პოლიტგანყოფილების გაზეთს ადგილი ცოტა აქვს. ხოლო მოწინავე ადამიანების ჩვენება ხელს არ უნდა უშლიდეს ოპერატიული მასალების მოთავსებას გაზეთის ყოველ ნომერში, მაგრამ ამავე დროს მოწინავეთა ჩვენება არ უნდა იყვეს მოწყვეტილი ამ მასალებს. პირიქით, იგი მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იყვეს ჩვეულებრივ მასალასთან, მიმდინარე კამპანიებთან.

ხომ შესწევთ უნარი გაზეთებს მზის სინათლეზე გამოიყვანონ ზარმაცები, წამგლეჯავები, კულაკების აგენტები! საჭიროა ისწავლონ აგრეთვე კოლმეურნეობათა საუკეთესო ადამიანების ჩვენება.

სახელდობრ ვისი ჩვენებაა საჭირო, ვის შესახებ უნდა სწერონ? ახლა კოლმეურნეობებში საკმაოდ ბევრია დამკვრელი, თვით წინავე, შრომის ნამდვილი გმირი. საკმაო აღინიშნოს, რომ ცენტრალურ შავმიწიან ოლქის ბოგუჩარსკის რაიონში, სადაც მოახდინეს ყველა დამკვრელ-კოლმეურნეთა აღრიცხვა, აღმოჩნდა სანიმუშო მუშაობისათვის დაჯილდოებული 2,000 დამკვრელი. მაშასადამე, სწორი არ იქნებოდა ყველას აღწერა რიგრიგად. ამ შემთხვევაში გაზეთს არ ეყოფოდა არც დრო და არც ადგილი. გაზეთმა უნდა გამონახოს აღწერისათვის ყველაზე უფრო შესაფერი კანდიდატურები და, ცხადია, ისეთები, რომლებმაც მოგვცეს მუშაობის საუკეთესო ნიმუშები.

—უნდა უჩვენოთ ისე, რომ ამა თუ იმ დამკვრელის მაგალითზე კოლმეურნეებს შეეძლოთ სწავლა, აღეძრათ სწავლის სურვილი. გმირობა უნდა იყვეს არა უსაგნო, არამედ მჭიდროდ დაკავშირებული კოლმეურნეობასთან, მის ცხოვრებასთან, ბრძოლასა და გამარჯვებებთან, კონკრეტულ შედეგებთან, რომლებიც მიღწეულია ამ ბრძოლის მეოხებით, საჭიროა განსაკუთრებით გვახსოვდეს დაკვრითი მუშაობის შედეგები, საჭიროა ამ შედეგების პროპაგანდა და გმირობა, შრომით თავდადება ჩვენში არ არის გამონაკლისი მოვლენა. იგი ხელმისაწვდომია უაღრესად ფართო მასებისათვის, და, მართლაც, ნამდვილმა გმირობამ ჩვენში სავსებით მასობრივი ხასიათი მიიღო.

თვითეულ კოლმეურნეს შეუძლია გახდეს მოწინავე დამკვრელი, კოლმეურნეობის გმირი. თვითეულს შეუძლია მიაღწიოს ისეთსავე შედეგებს, როგორსაც აღწევს საუკეთესო დამკვრელი. აი რას უნდა უჩვენებდეს მკითხველს მოწინავეთა ჩვენება გაზეთში.

ახლა თვით კოლმეურნეებზეა დამოკიდებული, რამდენად მალე მიაღწევენ ისინი შეძლებულთა დონემდე, „ისეთ ადამიანთა დონემდე, რომელნიც სარგებლობენ პროდუქტების სიუხვით და სავსებით კულტურულ ცხოვრებას ეწევიან".

„იმისათვის, რომ კოლმეურნეები გახდენ შეძლებულნი, ამჟამად საჭიროა მხოლოდ ერთი რამ—მათ პატიოსნად უნდა იმუშაონ კოლმეურნეობაში, სწორად გამოიყენონ ტრაქტორები და მანქანები, სწორად გამოიყენონ მუშა საქონელი, სწორად დაამუშაონ მიწა, გაუფრთხილდენ საკოლმეურნეო ქონებას" (სტალინი).

პოლიტგანყოფილების გაზეთის ამოცანაა უჩვენოს ცოცხალ კონკრეტულ მაგალითებზე, როგორ ახდენენ ადამიანები სასწაულს ამ მარტივ, ყველასათვის გასაგებ საქმეში, უჩვენოს, რა შედეგებს აღწევენ ისინი.

ხშირად ჩვენი გაზეთები, ათავსებენ რა თავიანთ ფურცლებზე მასალას დამკვრელთა შესახებ, კმაყოფილდებიან დროის მცირე ნაკვეთით, უფრო ხშირად ცალკე ეპიზოდით, ამა თუ იმ დამკვრელის ცალკე მიღწევებით. კიდევ კარგი, რომ გაზეთი ცალკე ეპიზოდებს მაინც უჩვენებს. მაგრამ არ შეიძლება მარტო ამით დაკმაყოფილება. საჭიროა უჩვენოთ ადამიანთა ზრდა. როგორ [illegible] სოციალისტური შეგნება, როგორ [illegible] ისინი შეუმჩნეველ, პასიურ ადამიანებიდან საზოგადოებრივ მუშაკებად, მეურნეებად, ხელმძღვანელებად, როგორ იზრდება მათი უნარი და საზოგადოებრივი სარგებლიანობა. უნდა უჩვენოთ ადამიანი მოცემულ დროში.

ოდესღაც პოეტი ა. კოლცოვი სევდიანად მიმართავდა ცარიზმის მიერ დაბეჩავებულ რუსეთის გლეხს.

Что ты спишь, мужичок?
Ведь, весна на дворе,
Все соседи твои
Работают давно.
Встань, проснись, подымись,
На себя погляди:
Что ты был
И что стал
И что есть у тебя *).

სევდიანი იყო სიმღერა! მაგრამ დიდი ხანია წავიდა ის დრო, უკვე აღარ არის „მუჟიჩოკ"-ი, რომელსაც ამაოდ აღვიძებდა პოეტი. რა კოლოსალური ცვლილებანი, რა სოციალური ძვრები ხდება სოფლად ჩვენს თვალწინ! მით უფრო სასარგებლოა ზოგჯერ თვალი გადავავლოთ—„რა იყავი, რად იქეცი და რა გაბადია".

ავიღოთ თუნდაც უკანასკნელი წელი. მარტო ერთ წელიწადში როგორი ნაბიჯი გადასდგა სოფელმა, როგორი ნაბიჯი გადასდგა სოციალისტურმა მშენებლობამ, რამდენი კოლმეურნე გახდა ამ წლის განმავლობაში შეძლებული, როგორ გაიზარდა მასების სოციალისტური შეგნება!

გაზეთმა უნდა უჩვენოს ადამიანი მთლიანად, არა მარტო იმ სახით, როგორიც ის არის ახლა, არამედ აგრეთვე როგორი იყო წინათ. სრულიად არ არის სავალდებულო დამკვრელის დაწვრილებითი ბიოგრაფიის მოყვანა. შეიძლება მოკლედ, მაგრამ შინაარსიანად უჩვენო ადამიანის ზრდა, მასის ზრდა, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს ესა თუ ის ადამიანი.

პოლიტგანყოფილების გაზეთმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კოლმეურნე ქალს. ქალი სოფლად იყო ყველაზე უფრო დაბეჩავებული ადამიანი. იგი სავსებით დამონებული იყო. შემთხვევითი არ არის, რომ ქალებს შორის ასე ბევრი მოიპოვებოდა წერა-კითხვის უცოდინარი და მორწმუნე. ახლა ქალები ჩამორჩენილებიდან მოწინავეებად გადაიქცენ. ქალები კოლმეურნეობებში დიდი ძალაა. საკოლმეურნეო მოძრაობამ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დააწინაურა მთელი რიგი შესანიშნავი და ნიჭიერი ქალები.

პოლიტგანყოფილების გაზეთის ფურცლებზე უნდა ვუჩვენოთ მოწინავე კოლმეურნე ქალები. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებრივად აქტიური გავხადოთ ქალთა მთელი მასა კოლმეურნეობებში.

და, ბოლოს, რამდენიმე სიტყვა ამ მასალის მიწოდების შესახებ გაზეთში. აქ არავითარი „რეცეპტის" გამოწერა არ შეიძლება. მოწინავე დამკვრელთა და დამკვრელ ქალთა შესახებ შეიძლება წერა ნარკვევის სტატიის ან კორესპონდენციის სახით, შეიძლება აგრეთვე თვით დამკვრელის მიერ დაწერილი ავტობიოგრაფიის სახით. შეიძლება მოთავსებულ იქნას პატარა სტატიები სათაურით „როგორ ვმუშაობ" ან როგორ ვცხოვრობ". აქ დასაშვებია ფორმების მრავალფეროვნობა. მაგრამ ერთი პირობა სავალდებულოა: ეს დაწერილი უნდა იქნეს მარტივი, თვით მცირემცოდნესთვისაც გასაგები ენით.

„პრავდა"

---

*) რას გძინავს, გლეხო? გაზაფხული კარს მოგდგომია, ყველა შენი მეზობელი დიდი ხანია მუშაობს. ადექ, გაიღვიძე, გამოფხიზლდი. შენს თავს შეხედე: რა იყავი, რად იქეცი რა გაბადია.

აფხაზეთმა უახლოეს დღეებში უნდა გამოასწოროს საგანგაშო ჩამორჩენა თამბაქოს ალებაში

(„კომუნისტი"-ს სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სამარცხვინო მაჩვენებლები

აფხაზეთი შევიდა თამბაქოს მოსავლის ალების ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო პერიოდში. უკვე დღეები სწყვეტენ თამბაქოს ალების ბედს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ? გადაჭრით უნდა ითქვას, რომ თამბაქოს მოსავლის ალების ფრონტზე აფხაზეთში ადგილი აქვს უდიდეს გარღვევას.

დაწესებული ვადით მთელ **აფხაზეთში** თამბაქოს მოსავლის ალება (მეხუთე უკანასკნელი შეტეხვა) უნდა დამთავრებულიყო 25 სექტემბერისათვის. ფაქტიურად კი 20 სექტემბერს მთელ აფხაზეთში მეხუთე შეტეხვის გეგმა შესრულებული იყო **კოლმეურნეობებში 22 პროცენტით, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებში—21,05 პროცენტით.** აფხაზეთის არც ერთ რაიონს ამავე რიცხვისათვის არ ჰქონდა შესრულებული თამბაქოს მესამე და მეოთხე შეტეხვის გეგმები. ყველაზე უფრო სამარცხვინო მაჩვენებლებით ხასიათდებიან **ოჩემჩირის და გალის** რაიონები, რომლებსაც 20 სექტემბრისათვის მეორე შეტეხვის გეგმები არ ჰქონდათ შესრულებული.

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით, მეორე შეტეხვა უნდა დამთავრებულიყო 10 აგვისტოსათვის. მესამე 30 აგვისტოსათვის და მეოთხე—12 სექტემბრისათვის.

ეს ცნობები მოწმობს, რომ თამბაქოს მოსავლის ალების ფრონტზე აფხაზეთში საგანგაშო მდგომარეობაა.

თამბაქოს ალების საქმეში ოდნავი დაგვიანება მოუთმენელია. მოსავალი იწვის, ცვივა და ფუჭდება. აფხაზეთის კოლმეურნეობათა მინდვრებზე „გადამწყვეტი ბრძოლის" განგაშია. კარგა ხანია თამბაქოს ღია დამწვანებული ფოთლები ყვითელი წინწკლებით დაიფარა. ეს მოსავლის მომწიფების პირველი გარეგანი ნიშანია.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს აფხაზეთში თამბაქოს გადარგვა და გათოხნა უფრო ორგანიზებულად ჩატარდა ვინემ გასულ წლებში. ამ გარემოებამ აფხაზეთის ზოგიერთ მუშაკთა შორის თვითკმაყოფილება და წარმატებისაგან თავბრუდახვევა გამოიწვია. ეგონათ, თამბაქოს შეტეხვა თავისთავად წარმატებით ჩატარდებოდა. აშკარად უნდა ითქვას, რომ თამბაქოს შეტეხვა თავიდანვე არ მიმდინარეობდა დამაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით შენელდა შეტეხვის ტემპები აგვისტოს შუა რიცხვებში. საქ. კ.პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ 29 აგვისტოს დადგენილებაში დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი შეტეხვის ტემპების დასაჩქარებლად.

„ობიექტური" და ნამდვილი მიზეზები

ჩამორჩენას თამბაქოს მოსავლის ალებაში აფხაზეთის ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგი ხსნის „ობიექტიური" მიზეზებით. მაგალითად, აფხაზეთის მიწსახკომის მოადგილე ამხ. **გრიგორიევი** აცხადებს, რომ ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ზოგიერთ მეთამბაქოეთა მალარიით დაავადება არისო, „აბთამბაქოს" თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ანასტასიადის** განცხადებით, ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ თამბაქო ერთბაშად — მოულოდნელად მომწიფდა (!). ზოგიერთიც ჩამორჩენის მთავარ მიზეზათ ასახელებს უკანასკნელ დეკადაში მოსულ წვიმებს.

ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სუსტია შრომის დისციპლინა. **კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები ასი პროცენტით არ გამოდიოდენ სამუშაოზე.** გარდა ამისა აღსანიშნავია **შრომის მოუწესრიგებლობა, სოციალისტური ფორმების — სოცშეჯიბრების და დამკვრელობის სათანადოთ გამოუყენებლობა, ბრიგადაში ძალთა არა სწორი განაწილება, ქალთა და მოზარდთა შრომის ოპორტუნისტული შეუფასებლობა.**

მაგალითად დავასახელებთ ამხ. **ორჯონიკიძის სახ. „ლენინგრადის „ბრიგადის", „წითელი სხივის", „წითელი მეოხეულის"** (სოხუმის რაიონი), **„აფხაზეთის სხივის"** (გუდაუთის რაიონი) კოლმეურნეობებს, სადაც მეტად დაბალია შრომის დისციპლინა იმის გამო, რომ იქ კოლმეურნეები აცდენენ სამუშაო დღეს თამბაქოს შეტეხვა შეუწყნარებელი ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

იქ კი, სადაც ოპერატიულად და კონკრეტულად ხელმძღვანელობენ თამბაქოს ალების კამპანიას, სადაც წარმატებით ასრულებენ პარტიისა და ხელისუფლების გადაწყვეტილებებს და განმტკიცებულია შრომის დისციპლინა — კოლმეურნეობები ბოლშევიკურ მაჩვენებლებს იძლევიან თამბაქოს შეტეხვის დავალებათა შესრულებაში. მაგალითად, კოლმეურნეობა **„კომინტერნმა"** (ოჩემჩირის რაიონი-, **„არაჩამა"**, **„წითელმა კავაკლეუკმა" „თავისუფლებამ"** და **„მე-3 ინტერნაციონალმა"** (გუდაუთის რაიონი) ვადაზე ადრე დაამთავრეს თამბაქოს მოსავლის უდანაკარგოდ ალება.

კულაკებს პირველი შეტეხვაც არ დაუმთავრებიათ

კლასობრივი მტერი კულაკები და მათი დამქაშები გაურბიან მტკიცე დავალებათა შესრულებას. კულაკურ - შეძლებულ მეურნეობებს 20 სექტემბრისათვის არ ჰქონდათ დამთავრებული თამბაქოს პირველი შეტეხვაც კი. ამავე რიცხვისათვის გაგრის რაიონის კულაკურ - შეძლებულ მეურნეობებს თამბაქოს მეხუთე შეტეხვის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 29,33 პროცენტით, გუდაუთისას—6,74 პროც., სოხუმისას—29,9 პროც., **ოჩემჩირისას** — 14,1 პროც.

თამბაქოს მოსავლის დაცვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მით უმეტეს, რომ კლასობრივი მტერი გააფთრებული იბრძვის ამ ფრონტზე. კულაკებმა და მათმა აგენტებმა ამხ. **ლაკობას** სახელობის კოლმეურნეობის ფარდულიდან (სოფ. **დიხაზურგი, გალის** რაიონი) დაიტაცეს თამბაქო. დამნაშავეები კი დღემდე გამომჟღავნებულნი და დასჯილი არ არიან.

არის შემთხვევები, როცა თამბაქოს ანემსვას და გაშრობას არ აწარმოებენ აგროწესების დაცვით. კრეფენ ან მოუმწიფებელს ან სრულიად გადამწიფებულ ფოთოლს. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ერთპიროვნულ მეურნეობებზე. მაგალითად, სოფ. **გუმისტის** (სოხუმის რაიონი) ერთპიროვნულმა მეურნეებმა **ვარლამ ძველაიამ, ნესტორ მილორავამ, ირაკლი ბენდელიანმა, ანა შონიამ, სოლომონ შათავამ** და სხვ. თამბაქოს ალებისა და შენახვის დროს განზრახ არ დაიცეს აგროწესები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წინასწარ გაფრთხილებული იყვნენ ამის შესახებ.

მივცეთ სახელმწიფოს არა ნაკლებ 7.000 ტონა თამბაქო

აფხაზეთში წელს თამბაქოს მოსავალი კარგია. საშუალოდ მოსავალი ჰექტარიდან განისაზღვრება 6,7 ცენტნერით.

თუ შარშან 1 ჰექტარიდან აფხაზეთის მეთამბაქოეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 3,5 ცენტნერი, წელს ჩააბარებენ 6,1 ცენტ.

მიმდინარე წელს აფხაზეთმა სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს **7.000 ტონა თამბაქო.** ეს გეგმა სავსებით რეალურია და იგი დროზე და მთლიანად უნდა შესრულდეს ყოველ მიზეზს გარეშე.

⁂

რა ამოცანები ისახება ამჟამად აფხაზეთის პარტორგანიზაციების წინაშე? პირველ და დამკვრელ ამოცანას წარმოადგენს დარაზმონ მასები თამბაქოს ალების ფრონტზე ჩამორჩენის უახლოეს დღეებში გამოსწორებისათვის. მიაქციონ გაძლიერებული ყურადღება თამბაქოს დაცვას დატაცებისაგან და თამბაქოს გაშრობის საკითხი მოაქციონ თავიანთი ყურადღების ცენტრში. საამისო პირობები არსებობს. თამბაქო უზრუნველყოფილია საშრობი ფარდულებით და ასაცმელი კანაფით.

აფხაზეთის ბოლშევიკებს ყველა საშუალებები მოეპოვებათ თამბაქოს ალების გეგმების მთლიანად შესრულებისათვის. საჭიროა ამ საშუალებათა მოხერხებულად, გეგმიანად და რაც მთავარია — დროულად გამოყენება.

თ. კუნჭულია.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისია—მუშგლეხინის აქტივის და პრესის დამკვრელთა ბრიგადის რეიდი

როგორ ეხმაურებიან მუშათა და კოლმეურნეთა შენიშვნებს

10-დან 20 სექტემბრამდის ჩატარდა საკონტროლო კომისია მუშგლეხინის აქტივის და პრესის დამკვრელთა ბრიგადების რეიდი ცენტრალურ და რაიონულ გაზეთებში გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ მუშათა და კოლმეურნეთა შენიშვნების შედეგიანობის შესამოწმებლად.

რეიდმა გვიჩვენა, რომ მუშათა და კოლმეურნეთა შენიშვნებს ბევრგან არ ექცევა საკმაო ყურადღება.

ქუთაისში რეიდის მონაწილეებმა გამოარკვიეს, რომ ქუთაისის მთელი რიგი დაწესებულება-ორგანიზაციები უსულგულო და აშკარა ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას იჩენენ როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივ რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი შენიშვნების და მუშკორთა წერილებისადმი. საკონტროლო ორგანოებმა გამოიტანეს სპეციალური გადაწყვეტილება დაწესებულება ორგანიზაციებში პასუხისმგებელი პირების გამოყოფის შესახებ, რომელთაც ევალებათ პრესაში გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ შენიშვნებზე მეთვალყურეობის გაწევა. ქუთაისის მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებებში ეს დირექტივა არაა შესრულებული. (ქუთაისის ქალაქის საბჭო, რაიპროფსაბჭო, განათლების განყოფილება, მიწგანი, რიონჰესის სამმართველო, რკ. გზ. კვანძი).

იქ, სადაც ასეთი პირები გამოყოფილია, ისინი არ ასრულებენ მოვალეობას, ადგილი აქვს შენიშვნებზე ფორმალურ გამოხმაურებას. ქუთაისის რაიპროფსაბჭოში შენიშვნებზე თვალყურის სადევნებლად ოდესღაც გამოყოფილი ყოფილა პარტიის წევრი გაგუა, რომელსაც ფაქტიურად დღემდის არაფერი გაუკეთებია. ქუთაისის ქალაქის საბჭოს საორგ. განყოფილების გამგემ—ქემხაძემ მუშკორთა ბრიგადას მისცა ცნობები, თითქოს საბჭოში მუშგლეხკორთა შენიშვნებზე გამოხმაურება კარგათაა დაყენებული, თითქოს წარმოებს შენიშვნების აღრიცხვა, გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი და სხ. როდესაც ბრიგადა „გამოყოფილ" პირს ესაუბრა, სრულიად საწინააღმდეგო გამოირკვა. სახელდობრ: პრესაში მოთავსებული შენიშვნები არ ინახებოდა, არ სწარმოებდა მათი აღრიცხვა, „გამოყოფილმა" პირმა ისიც კი არ იცოდა თუ მას ეს საქმე ჰქონდა დავალებული.

საგაზეთო შენიშვნებს აშკარა ფორმალურ-ბიუროკრატიულად ეხმარებიან რკ. გზის ქუთ. კვანძის პარტიული, პროფესიული და სამეურნეო ორგანიზაციები. ისინი სრულებით არ ადევნებენ თვალყურს შენიშვნებს. მოძრაობის დარგის უფროსი ცხადაძე, მუშკორთა ბრიგადის შეკითხვაზე—თუ რატომ არ ეხმაურებიან მუშკორთა წერილებს,—უპასუხებს: „არ გვაქვს საშუალება ყოველდღიურად შევიძინოთ გაზეთები. პირველი საექსპლოატაციო რაიონი საამისო თანხებს არ გვაძლევს, ქუთაისის, როგორც მეორე კლასის სადგურის, საგაზეთო თანხები ხარჯთაღრიცხვაში არ არის გათვალისწინებული" ცხადაძის ასეთი უპასუხისმგებლო განცხადება აშკარად ლაპარაკობს მუშკორთა შენიშვნებისადმი დაუშვებელ დამოკიდებულებაზე.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ქუთაისის პროკურატურასა და სასამართლოზე. ეს ორგანოები პირველ რიგში უნდა ეხმაურებოდენ მუშგლეხკორთა შენიშვნებს. ხდება კი პირიქით, ადგილი აქვს მუშგლეხკორების მიერ აღძრულ საქმეების გაჭიანურებას. გაზ. „კოლექტივიზაცია"-ს ამა წლის 20 მარტის შენიშვნა: „აგვისტოს კანონი გვავალებს" გამომძიებელ სოფრომაძეს დღემდე მაუდქვეშ აქვს ამოდებული. პროკურატურა კი ამის წინააღმდეგ ზომებს არ ღებულობს. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ არც სახ. სასამართლოებს აქვთ სახარბიელო საქმე. მათ ცნობებიც კი არ მოეპოვებათ იმის შესახებ თუ 1933 წლის იანვრიდან დღემდე მუშგლეხკორის შენიშვნებით აღძრული რამდენი საქმე გაირჩა და რა შედეგი მოგვცა მან.

არც მილიცია ღებულობს საჭირო ზომებს შენიშვნებზე გამოხმაურებისათვის. მაგ. ქუთაისის პროკურატურის მიერ გადაცემული შენიშვნა: „დიასამიძე გაძევებული უნდა იქნას სკოლის ბინიდან" („მუშა და კოლმეურნე"-ს 1933 წ. 3 აგვისტოს ნომერი) ქუთ. მილიციამ ზერელეთ გამოიკვლია და დაგვიანებით აცნობა პროკურატურას საქმის მოსპობის შესახებ, პროკურორ ებრალიძის განმარტებით, კი, ეს საქმე ხელმეორეთ გამორკვევას საჭიროებს.

ბევრ ადგილას შენიშვნებს ფორმალურად ეხმაურებიან; ზოგჯერ კი განგებ ცდილობენ გააბათილონ შენიშვნა. გაზ. „მუშა და კოლმეურნეს" ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო შენიშვნა სათაურით „სასადილოა თუ სამიკიტნო". ამ შენიშვნას სახკვების ქუთ. განყოფილების ადმინისტრაცია „გამოეხმაურა", სასადილოს გამგე, რომელსაც შენიშვნა ეხებოდა, ერთ სასადილოდან გადაიყვანეს მეორეში.

არც გუმბრინის სამმართველოს სამკუთხედი აქცევს ყურადღებას გაზეთში მოთავსებულ შენიშვნას. გაზ. „კომუნისტში" და „მუშა" და „კოლმეურნეში" აგვისტოში მოთავსებული იყო კორესპონდენციები გუმბრინის მაღაროების შესახებ. რედაქციებს პასუხი ამ შენიშვნებზე დღემდის არ მიუღიათ ბრიგადის შეკითხვებზე—თუ რატომ არ ხდება შენიშვნებზე გამოხმაურება—პარტუჯრედის მდივანი კუპრაშვილი უპასუხებს: „მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე დავსვი ამის შესახებ საკითხი, [illegible] ადმინისტრაციას გამოეყო მეთვალყურე—დღემდე არაფერი არ გაკეთებულა"-ო. „მ. და კ."-ს შენიშვნაზე (1933 წ. 29 ივლისის ნომერი) ავტოტრანსპორტის შესახებ გუმბრინის სამმართველოს ყურადღება არ მიუქცევია. ტრანსპორტის საკითხი კი გუმბრინისათვის დიდი მნიშვნელობისაა.

ანალოგიური მდგომარეობაა სამომხმარებლო კოოპერაციაში, მიწგანში, რიონჰესი, [illegible] და სხვა ორგანიზაციებში.

არც ზესტაფონის რაიონში ექცევა ყურადღება გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს და მუშგლეხკორების წერილებს. „შრომელ ენტუზიაზმში" (1933 წელი 25 აგვისტო) მოთავსებული იყო შენიშვნა: „[illegible] უნდა დაისაჯოს". ამ კორესპონდენციაში ლაპარაკი იყო სოფ. ილემის სას. სამეურნეო არტელის მოანგარიშე ფუტკარაძის შესახებ. ფუტკარაძეს ბრალი ედებოდა შრომა-დღეების მითვისებაში. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი გარკვევით მოითხოვდა საქმეში ზესტაფონის რაიპროკურატურის ჩარევას და პასუხს მიღებული ზომების შესახებ, ეს შენიშვნა პროკურატურაში ალც კი წაუკითხავთ. ამავე გაზეთის 1933 წლის 19 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა კორესპონდენცია მეორე სვირის ამხ. ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობის შესახებ. კორესპონდენცია ეხებოდა კოლმეურნეობის დანაგვიანებას უცხო ელემენტებით. რედაქცია მოითხოვდა ამ საქმეში სამ. სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებისა და რაიპროკურორის ჩარევას. პოლიტგანყოფილებამ თავისი მხრივ მიიღო ყოველგვარი ზომა კოლმეურნეობიდან კლასობრივად უცხო ელემენტების საძევებლად, პროკურატურა კი ამ საკითხით არც კი დაინტერესებულა.

გაზეთ „კომუნისტმა" მიმდინარე წლის მარტში ზესტაფონის პროკურატურას გადაუგზავნა კორესპონდენცია: „რატომ დააპატიმრეს გლეხები". პროკურატურას ეს კორესპონდენცია გადაუგზავნია სახჩერის გამომძიებლისათვის, შემდეგ კი რა ბედი ეწია ამ მასალას, რედაქციას ამის შესახებ არაფერი აცნობეს.

ბრიგადის შეკითხვაზე, თუ რატომ არ სწარმოებს მუშათა და კოლმეურნეთა შენიშვნებზე დროული გამოხმაურება პროკურორი კეშელავა ასახელებს სხვადასხვა „მიზეზებს" და დაასკვნის, რომ „საქმის განხილვა მოითხოვს მოწმეების დაკითხვას, დამნაშავეების შესწავლას მის ფიზიონომიის და ზრახვების ყოველმხრივ შესწავლას. მასთან, გაზეთისათვის თვალყურის დევნება შეუძლებელია, რადგან რედაქციები გაზეთებს არ გვიგზავნიან".

ადგილი აქვს შენიშვნებზე ფორმალ გამოხმაურებასაც: მაგ. „მშრომელთა ენტუზიაზმში" მოთავსებული იყო შენიშვნა რაიკავშირის თანამშრომელ მგელაძის შესახებ. რაიკავშირიდან მოხსნეს მგელაძე, მაგრამ იგი უკეთეს ადგილას მოკალათდა.

ძალზე სუსტად ეხმაურებიან შენიშვნებს ზესტაფონში საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, განათლების განყოფილება, მიწგანი, პროფსაბჭო, ქალაქის საბჭო და სხვ. ორგანიზაციები.

რეიდში მონაწილენი: ჭანტურიძე, გოგორიშვილი, ორჯონიკიძე, სახელაშვილი, შაქარაშვილი, გეწაძე, ქიქნაძე, ხაჭიპერაძე, ჩიქვილაძე, მხეიძე, ბეჟუაშვილი, ღოღორიშვილი, მეტრეველი, ჭაჭიაშვილი, ხუჯაძე, კაკაბაძე, ჩიხლაძე, ასათიანი, სახამბერიძე, ნიკოლაძე, ბრეგაძე, ფარადოვი, ზარნაძე, გვილავა, ერემიშვილი, თავბერიძე, ბენიაშვილი, ჭილაძე, ფანცულაია, ლალიაშვილი, ესაიაშვილი, სახეგლიძე.

მარგანეცი

ჭიათურა, 27 სექტემბერი. 25 სექტემბერს ჭიათურის მაღაროებში უნდა ამოეღოთ 3.789 ტონა მარგანეცი, ფაქტიურად ამოიღეს 3585 ტონა, გეგმის 94,6 პროც.

უნდა გაერეცხათ 1.990 ტონა, გაირეცხა 1.377 ტონა, რაც უდრის გეგმის 69,1 პროცენტს.

მოქალაქენო! გაუფრთხილდით ბავშვებს

ასწავლეთ მათ ქუჩაში მოძრაობის წესები

ყოველდღიურად ტფილისში ხდება უბედური შემთხვევები იმ ბავშვებთან, რომლებიც ჩამოკიდებული არიან ტრამვაის საფეხურებზე და ბუფერებზე.

დღეს თქვენი შვილი მილიციის მუშაკების მიერ იყო მოხსნილი ტრამვაის ბუფერიდან ახტომა-ჩამოხტომის დროს, რითაც იგი თავის სიცოცხლეს ყოველწუთს საფრთხეში აყენებდა.

უკეთუ თქვენი შვილი ჩამოვარდება ტრამვაიდან და სამუდამოდ დარჩება უფეხო ინვალიდი, ამაში ბრალი დაგედებათ თქვენ. თქვენ არ უნდა დასტოვოთ ბავშვები უმეთვალყურეოთ. თქვენ ვალდებული ხართ აუხსნათ მათ ქუჩაში ვაცხოველებულ მოძრაობის ყველა საშიშროებანი და ხიფათები. თქვენი ვალდებულებაა შეასწავლოთ მათ ქუჩაში მოძრაობის ელემენტარული წესები. უამისოდ თქვენ დადგებით ფაქტის წინაშე, როდესაც ერთ დღეს თქვენს შვილს საკაცით მოიყვანენ შინ დასახიჩრებულს.

გაუფრთხილდით ბავშვებს!

ასეთ მიმართვას უგზავნის ტფილისის მილიცია იმ ბავშვების მშობლებს, რომლებიც ჩამოხსნილი იქნებიან მილიციის მუშაკების მიერ ტრამვაის ბუფერებიდან. მაგრამ გაფრთხილება არ სჭრის. ბავშვების ახტომა-ჩამოხტომა გაქანებულ ვაგონებიდან არ მცირდება. ან როგორ შემცირდება, როდესაც ბავშვებს მაგალითს აძლევენ მოზრდილი მოქალაქენი. ტრამვაის საფეხურებზე და ბუფერებზე დგომა, გაქანებულ ვაგონზე ახტომა და ჩამოხტომა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ტფილისში. არის ისეთი კატეგორიის ხალხი, რომლისთვისაც ტრამვაის ვაგონებზე აკრობატული ვარჯიშობა „სახელის" საქმედ გადაიქცა. ამ ნიადაგზე გახშირდა უბედური შემთხვევები. **მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ტფილისში ადგილი ჰქონდა 98 ასეთ შემთხვევას.**

მართალია გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით უბედური შემთხვევების რიცხვი შემცირდა (შარშან იყო 111 შემთხვევა), მაგრამ ის იმდენად თვალსაჩინოა, რომ მოითხოვს განსაკუთრებული ზომების მიღებას ხტომის მოყვარულთა წინააღმდეგ. მილიცია ებრძვის მათ, მაგრამ მარტო მილიცია ვერაფერს გახდება, თუ მას არ დაეხმარა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა. დღემდე ასეთებთან ბრძოლა წარმოებდა მოძრაობის წესების დამრღვევთა დაჯარიმებით. მარტო წლის პირველ ნახევარში ასეთი ჯარიმიდან შემოვიდა 17500 მანეთი. მაგრამ ჯარიმა არ შველის საქმეს. საჭიროა კიდევ რაღაც სხვა ზომები, რომ საქალაქო მოძრაობა კალაპოტში ჩადგეს და უზრუნველყოფილი იქნას მოქალაქეთა უშიშროება.

სწორედ ეს იყო გუშინ ამხ. ფ. მახარაძესთან შემდგარ თათბირის მსჯელობის საგანი. თათბირზე გამოირკვა, რომ მილიცია სათანადოთ ვერ ებრძვის მოძრაობის წესების დამრღვევთ, რადგან მილიციელების რიცხვი ქალაქში მცირეა. დღესდღეობით ტფილისის მილიციას აკლია 170 კაცი. მთელ რიგ ქუჩებზე, განსაკუთრებით განაპირა უბნებში, სრულებით არ არის მილიციის საგუშაგოები. ამით სარგებლობენ ხულიგნები და ათასგვარ უმსგავსოებას ჩადიან ტრამვაის ვაგონებზე. ზოგჯერ საქმე იქამდისაც კი მიდის, რომ ხულიგნები ცემით უმასპინძლდებიან ტრამვაის კონდუქტორებს, რომლებიც ხმას აღიმაღლებენ მათ წინააღმდეგ.

ტრამვაიზე მხტომთა შორის თვალსაჩინო პროცენტს შეადგენენ ბავშვები, რომლებიც დიდების მაგალითით წათამამებულნი არიან. ამასთანავე ტფილისის ქუჩებში გაიზარდა ბავშვთა სპეკულიაცია. პაპიროსით მოვაჭრეთა უმრავლესობა მოწაფეებია. არც მშობლები და არც სკოლის ადმინისტრაცია მათ წინააღმდეგ არ იღებენ ზომებს, არ ეხმარებიან მილიციას ამ ბოროტების აღმოფხვრაში.

თათბირზე გამოითქვა აზრი, რომ გაძლიერდეს კულტურული მუშაობა მოწაფეთა მშობლებთან. ჩატარებული უნდა იქნეს სპეციალური თათბირები მშობლებთან, მასწავლებლებთან, კომკავშირელებთან და პიონერებთან. თუ მშობლები მაინც არ გააძლიერებენ მეთვალყურეობას თავიანთ შვილებზე, შემოღებული უნდა იქნეს მათი დაჯარიმება.

ამასთანავე ერთად საჭიროდ იქნა ცნობილი მილიციის საგუშაგოების რიცხვის გადიდება და რეპრესიული ზომების გაძლიერება იმ მოქალაქეთა წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ ქუჩებში მოძრაობის წესებს.

საქალაქო მოძრაობის უშიშროების უზრუნველყოფის და ბავშთა სპეკულიაციის აღსაკვეთად საჭირო ღონისძიებათა დასამუშავებლად და საქ. ცაკში წარსადგენად გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. ა. დოლიძის (იუსტიციის სახალხო კომისარი), მელაძის (მილიცია), კ. ქაცარავას (ტფილისის საბჭო), რაზმაძის (ტრამვაი) და ა. კოჩლაშვილის (საქ. ა.ლ.კ.კ. ცკა), შემადგენლობით, რომელსაც დაევალა სამი დღის ვადაში დაამთავროს მუშაობა.

შ—ა.

ტფილისის ტრამვაის

სავაგონო პარკი ფართოვდება

მიმდინარე წლის იანვარში ტფილისის ტრამვაიმ მიიღო 17 მოტორიანი ვაგონი, მაგრამ ყველა ეს ვაგონი მიღებული იქნა არასაკმაოდ მოწყობილი.

ამასწინათ ტფილისის ტრამვაიმ მიიღო მოტორები და დიდკბილანები 14 ვაგონისათვის. სექტემბრის ბოლოს აღნიშნული 17 ვაგონიდან ხაზზე გამოშვებული იქნება 6 ვაგონი.

მოძრაობის გაუმჯობესებისა და მშრომელთათვის მგზავრობის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით ფართოდ იქნება გამოყენებული მისაბმელი ვაგონები.

ძირითად მარშრუტზე № 1 უკვე გამოშვებულია სამვაგონიანი შემადგენლობა. ასეთივე შემადგენლობა მზადდება № 2 მარშრუტზე სამუშაოდ. ოქტომბრის ბოლოსათვის მისაბმელი ვაგონებით უზრუნველყოფილი იქნება მაგისტრალის ქუჩაზე (ლენრაიონი) მდებარე ტრამვაის ხაზი (ადს).



ტფილისის რკინის გზის კლინიკის რენტგენის კაბინეტი გაფართოებულ იქნა ორი ახლად გაუჯობესებული რენტგენის აპარატით, რომლებიც დამზადებულია ლენინგრადისა და მოსკოვის ქარხნებში.

სურათზე: ახლად დადგმული აპარატების მონტაჟი.

ახალი დანიშვნა

დადგენილება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

ამხ. ტანდიტ თადეოზის ძე გობეჯიშვილის საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

ამხ. ტანდიტ თადეოზის ძე გობეჯიშვილი დანიშნულ იქნეს საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილედ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი **თ. ჟღენტი**

1933 წ. სექტემბრის 26
ქ. ტფილისი.

ახალი საჰაერო ხაზი

საჰაერო მიმოსვლის ამიერკავკასიის სამმართველო პირველი ოქტომბრიდან ხსნის ახალ საბარგო საჰაერო ხაზს ზაქათალო—წნორის-წყალი, 60 კილომეტრზე მეტი სიგრძით.

ხაზი სპეციალურად მომსახურეობას გაუწევს საექსპორტო ტვირთის გადაზიდვას. საჰაერო მიმოსვლის ა.-კ. სამმართველომ ხელშეკრულება დასდო სახვაჭრობასთან ახლადგასახსნელი საჰაერო ხაზით მთელი რიგი სწრაფად გასაფუჭებელი საექსპორტო საქონლის გადაზიდვის შესახებ (ადს).



ახალი თეატრის მშენებლობა ავლაბარში.

„26" კომუნართა სახელობის რაიონში შენდება მუშათა თეატრი, რომელიც დაიტევს 1200 კაცს. თეატრს ექნება მბრუნავი სცენა, რომელიც ხანძრის შემთხვევაში გამოჰყოფა საყურებელი დარბაზისაგან წყალის საფარით. მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია 1934 წლის თებერვლისათვის.

საქ. ღარიბკომის კულტურის სახლი

ამ დღეებში ტფილისში მაისის ქუჩაზე კაპიტალური რემონტისა და გადაკეთების შემდეგ გაიხსნება საქ. ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის, ამხ. ლ. ბერიას სახელობის კულტურული სახლი.

30 სექტემბერს შესდგება საქ. ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის იუბილე და კულტურის სახლის საზეიმო გახსნა. სახლის გადაკეთებაზე თეატრის დარბაზთან ერთად და მის მოწყობაზე დაიხარჯა 700 ათას მანეთამდის (ადს).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

28 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომების დარბაზში შესდგება ქვემოდ დასახელებული ამხანაგების საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ პოლიტგანყოფილებათა გაზეთების რედაქტორების თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ბიქტორ მაცაცი, ვლადიმერ ბუაჩიძე, სედრაკ ვერთანოვი, გრიგოლ ვაჩაძე, აკაკი გოგუა, გრიგოლ დავიდოვი, ვლადიმერ დევაძე, მიხ. გაბაშვილი, პლატონ ჯიბლაძე, ლავრენტი ძიძიგური, ივლიანე ძიძიგური, ლავ. კალანდაძე, პლატონ ქიქოძე, ვასილ მახარაძე, ალექსანდრე მგელაძე, გიორგი მიქელაძე, ამბაკო ნაროუშვილი, ნოე პაიჭაძე, მაშედ ფირიევი, ალექსანდრე საჯაია, ილია გავაძე, შალვა ცაგარეიშვილი, კალე შეროზია, იოკიმ შენგელია, რამაზან შიხალიევი, კანდიდ ჩარკვიანი და სერგო ებრალიძე, ყველა ზემოდ აღნიშნული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

29 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) ცეკას სხდომების დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 23) შესდგება საქალაქო პარტიული თათბირი ჯანმრთელობის დაცვის საკითხზე.

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი

—:—

29 სექტემბერს საღამოს 7 საათზე, პარტკაბინეტის შენობაში (ძნელაძის ქ. № 30, მე-3 სართული) **შესდგება ამხ. ეფიმოვის საინფორმაციო მოხსენება თემაზე: „ლენინური ეტაპი დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში"** სასაგნო წრეების და აგრეთვე მიმდინარე პოლიტიკის მაღალი ტიპის წრეების ყველა პროპაგანდისტის დასწრება სავალდებულოა. პარტუჯრედების კულტპროპორგანიზატორებს და რაიონული პარტკაბინეტის გამგეებს წინადადება ეძლევათ უზრუნველყონ პროპაგანდისტთა თავის დროზე გამოცხადება.

საქ. კ.პ. (ბ) ტფ. კომიტეტის პარტკაბინეტი

—:—

29 სექტემბერს დღის 1 საათზე, ტფილისის კომიტეტის კულტპროპგანყოფილებაში ამხ. არომ ქესთან (ოთახი № 30) შესდგება თათბირი ძირეული პრესის საკითხზე. თათბირზე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: გვაზავა („კომუნისტი"), სიხარულიძე („მუშა"), „ზარია ვოსტოკას" და „ტიფლისკი რაბოჩის" წარმომადგენლები, ფიჩულია („კოლექტივიზაცია"), „მოლოდოი რაბოჩის" რედაქტორი, მახარაძე („ახ. კომუნისტი"), საქ.კ.პ. (ბ) ტფ. ორგ. რაიკომების კულტპროპგანყოფილებათა გამგეები—ამხ. სიხარულიძე (ლენრაიკომი), ბაქრაძე (საგარეჯოს რაიკომი), სტალინის და ორჯონიკიძის რაიკომების კულტპროპ. განყოფილებების გამგეები.

—:—

29 სექტემბერს დღის 2 საათზე, ტფ. კომიტეტის აგიტმასგანყოფილებაში მოწვეულია რაიკომების აგიტმასგანყოფილებათა გამგეების თათბირი. დღის წესრიგი: ორი ოქტომბრის პროფდღისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. (საქ. პროფსაბჭოს საორგ. განყოფილების და რაიკომების აგიტმასგანყოფილებათა გამგეების ინფორმაცია). თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: რაიკომების აგიტმასგანყოფილებების გამგეები, პროფსაბჭოდან ამხ. სტურუა, მაუდის ფაბრიკის, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, № 1 ფეხსაცმელების ფაბრიკის, № 1-ლი თამბაქოს ფაბრიკის, 26-ის სახელობის და ორჯონიკიძის სახ. ქარხნების ფაბქარხკომების თავმჯდომარეები, პარტკოლექტივების და საფაბრიკო პარტუჯრედების მდივნები. ამხ. ელიაშვილი—ტფ. საბჭო, აირაპეტოვი, ლოლაშვილი, გამსახურდია—საქ. ბინათკავშირი, შაზმანოვი—საქ. პროფსაბჭოს გამომგონებელთა ბიურო.

—.—

ორჯონიკიძის რაიკომის საორგ.-საინსტ. განყოფილება იუწყება, 28 სექტემბრისათვის დანიშნული მორიგი პარტდღე გადატანილია 8 ოქტომბრისათვის. პარტუჯრედების მდივნებს წინადადება ეძლევათ განაგრძონ და გააძლიერონ სამზადისი მუშაობა პარტდღისათვის საქ. კ.პ. (ბ) ტფ. კომიტეტის და ტფილისის საბჭოს გაერთიანებული პლენუმის მიერ საქალაქო მეურნეობაზე მიღებულ გადაწყვეტილების და საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ.პ. (ბ) ცეკას მდივნის ამხ. ბერიას სიტყვის რეალიზაციის ნიშნით.

—:—

„26"-ის სახ. რაიკომი აუწყებს რაიონის ყველა პროპაგანდისტებს, რომ 27, 28 და 29 სექტემბერს, საღამოს 7 ს. რაიკომის შენობაში ტარდება ყველა ტიპის სკოლების და წრეების პროპაგანდისტთა კურს-კონფერენციები. ყველა პროპაგანდისტის დასწრება სავალდებულოა.

საქკინმრეწვის კინო თეატრებში:

[illegible] 8 9-20, 10 40.	საზღვარგ. კომ. **უკანასკნელი ცოდვები** პრო. გარ.—ს.ჟ № 13
[illegible] 7-45, 9 10, 10 45	ამერიკ. ფილ. **კონტრაბანდისტები ჩილიში** პრ. გარ.—საბჭ. საქ. № 13
[illegible] სახ. 7-30, [illegible]-20, ზამთრის 7, 8-45, 10 30	სათავგად. ფილმი **აბრეკ ზაური** პრ. გარ. რუსთ. თეატ. ჩაცვლა ლენინგრ
კომინტერნი (დიდუბე) 8-30, 10	საზკინმრეწვის ნაწარმოები **ორი მონადირე**
ოქტომბერი 7, 8-45, 10-30	ხმ. ფ. **მოჩვენება, რომელიც აღარ გამეორდება** პრ. გარ.—ხმ. ჟ. № 6
[illegible] 7-30, 9, 10-30.	მხატვრ. ისტორ. ფ. **გულატ ბატირი** პროგ. გარეშე—ჟურნალი № 23.
რ. ლიუქსემბურგის 7, 8-45, 10-30	ხმ. ფილ. **ცისფერი ექსპრესი** პრ. გარ.—ხმოვანი ჟ. № 19
[illegible] 7-30, 9, 10-30	მხატვრ. ფილმი **ლამი მეეტლე** პრ. გარ.—სკჟ № 22
26-ის ახელოვის (ავლაბარში)	მხ. ფილმი **თავადის ასული მერი** პრ. გარ.—სკჟ № 23
[illegible]	ტურისტული ფილმი **მოგზაურობა ჩრდილოეთში**
საბავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე	საბავშვო ფილმი **მსოფლიოს მპყრობელნი**

28 სექტემბრიდან

საზკინმრეწვის კინო-თეატრებში:

კინო დამკვრელი (საზაფხულო შენობა)

დიდი მხატვრული ფილმი
გულატ-ბატირი
რეჟისორი **იური ტარიჩი.**
მთავარ როლებში:
ადა ვოიტინი, ვამბსი, კრავჩენკო, ნაუმ როგოჟინი.
პროგრამის გარეშე
სოიუზკინოს ჟურნ. № 23
1. „ჩელიუსკინი" ნორვეგიის წყლებში, 2. ეპრონოველებმა ამოიღეს წყალქვეშა ნავი, 3. ფეხბურთი ივანოვო-თურქეთი.

რ. ლიუქსემბურგის სახელ. ხმოვანი კინო-თეატრი

გახმოვანებული მხატვრული ფილმი
ცისფერი ექსპრესი
(ექსპრესი ნანკინი—სუ-უჩოუ)
რეჟისორი **ილია ტრაუბერგი.**
მთავარ როლებში:
ჩინელი მსახ. ქალი **სან გო-იანი ს. მინინი, ჩუჟევას ლიან დი-დო.**
პროგრამის გარეშე
ხმოვანი ჟურნალი № 19
1. საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის ილიუსტრაცია, 2. საბჭ. ჩეჩნეთის 10 წლისთავი.
ნ. 358

მარქსის და ლენინის თხზულებებზე

სახელგამის პერიოდსექტორის ყოფ. ხელისმომწერლებმა მორიგი შესატანი ფული უნდა აგზავნონ შემდეგი მისამართით:

პარტგამ-ოლქების ხელისმოწერის ბიურო

რუსთაველის პრ № 34

2—? ნ. 35

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული საშარდე-სასქესო ორგანოების. სიფილ. და კანის ავადმყოფ. დილ. 9—12 ს. სალ. 6—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, (სასტუმრო „ევროპას" ქ. „ნოე"-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 8.
10—1

განცხადება

28 სექტემბერი 33 წ. ქ. ტფილისი

საქ. სახ. პოლიტ. სამმართველო აცხადებს იმ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომელთაც აქვთ სასროლი იარაღი, რომ ამა წლის 28 სექტემბრიდან იწარმოებს

სასროლი იარაღის ხელახალი რეგისტრაცია

საქართველოს სსრ და მასში შემავალ რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

1933 წ. 28 სექტემბრამდე გაცემული სასროლი იარაღის ქონების და ტარების ნებართვები ჩათვლილია გაუქმებულად და საჭიროებენ შეცვლას ახლით.

ნებართვის გაცემის წესი:

1. სასროლი იარაღის რეგისტრაცია, აგრეთვე მისი ტარების და ქონების ნებართვის გაცემა და ძველი ნებართვების გადაცვლა ახლებზე სწარმოებს შემდეგ ვადებში:
    - ა) ტფილისში—სახ. პოლიტ. სამმართველოს კომენდატურის მიერ 28 სექტემბრიდან—28 ოქტომბრამდე 1933 წლ.
    - ბ) საქართველოს სსრ დანარჩენ ადგილებში და აგრეთვე მასში შემავალ რესპუბლიკებში—იწარმოებს სახ. პოლიტ. სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების მიერ 28/IX—28/XI 1933.
2. სასროლი იარაღის ტარების და შენახვის ახალი ნებართვის ასაღებად დაინტერესებულმა მოქალაქეებმა უნდა წარმოადგინონ საქ. სახ. პოლიტ. სამმართველოს კომენდატურაში—1. ძველი ნებართვა, 2. ცნობა სამსახურის ადგილიდან, 3. სასროლი იარაღი, რომელზედაც იღება ნებართვა.
3. ის პირები ვისაც აქვს სასროლი იარაღი და არ გაატარებენ რეგისტრაციაში ან ძველს ნებართვას არ შესცვლიან ახლით ამ განცხადებით დაწესებულ ვადებში, იქნებიან მიცემული პასუხის გებაში თანახმად 202—ეუხ სისხ. სამ. კოდექსისა 1928 წლ. რედაქციით.

შენიშვნა: 1) სასროლი იარაღის რეგისტრაციიდან თავისუფლდებიან ის პოლიტ. მეთაურთა და ადმინისტრატიული შემადგენლობა წითელი არმიისა და ფლოტისა, რომელთაც თანახმად სამ. რევ. საბჭოს ბრძანებისა № 309 1927 წ. მინიჭებული აქვთ თანამდებობით სასრ. იარაღის ტარება და ქონება
2) წითელი არმიის და ფლოტის ის თანამშრომლები, რომელთაც არა აქვთ ზემოთ მოხსენებულ ბრძანებით მინიჭებული სასრ. იარაღის ტარება და ქონება, განიხილებიან როგორც დანარჩენი მოქალაქეები.

სახ. პოლიტ. სამმართველოს კომენდანტურის კანცელარია ღია არის ყოველ დღე გარდა გამოსასვლელი დღეებისა დილის 10 დან 4 საათამდე და საღამოს 7-დან 10 საათამდე.

6—1 **საქ. სახ. პოლიტ-სამმართველო.**

ა.-კ. ტექნიკური განათლების დაუსწრებელი ინსტიტუტი

ამით აცხადებს, რომ მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს საღამოს 6 საათიდან.

მეცადინეობა იწარმოებს ენერგეტიულ ინსტიტუტის შენობაში (არსენალის მთა) გარდა ენერგ. ფაკ. მე-III-ე კურსისა და სამთო ფაკ. II კურსისა.

1534 **დირექცია.**

იყიდება ეტლი ახალი დიდი

იკითხეთ—ავლაბარი ფიოლეტოვის ქ. № 15 ა-კ. უფ. შემადგენლობის მგლეხთა მილიციის სკოლა ნახვა 12—14 საათამდე.

კინო-თეატრი **ეთერი**
1933 წ. 28 სექტემბრიდან
უკანასკნელი ცნობები
მთავარ როლებში—**ბიბ დანიელსი, ნეილ ჰამილტონი.** პროგრამის გარეშე თვითეულ სეანსში ჟურნალი საბჭოთა საქართველო № 13.
სეანსები 7-30 9 და 10-30 ს.

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები ჩ. გ.

კავშირის წიგნაკები: შუშიკო ხუსკივაძის № 40217, დათა გოგოსაშვილის № 173704.

კოოპ. წიგნ.: ილია ხეცურიანის № 368

სამხედრო წიგნაკი: შალვა ჩხარტიშვილის

სხვა და სხვა: პატიმრობიდან განთავისუფლების წიგნაკი № 1668 ევგენი ჭყუასელის პირადობის მოწმობა № 565 ვანიჩკა გიორაძის. № 23

დაუსწრებელი საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტი

აცხადებს აგრონომ-ზოოტექნიკოსებს უმაღლ. ხარისხის და ვეტექიმებს

მიღების პირობები ფოსტით ან პირადად (ქ. ტფილისი, ვაკე, ზოოტექ. ვეტ. ინსტიტუტი) 1—3 საათ.

განცხადებასთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი საბუთები, შევსებული ანკეტა და წლიური გადასახადის (250 მ.) 20 პროც., ე. ი. 50 მან. და დაწერილებითი მისამართი, გარკვეულად დაწერილი. 1527

ეჟენ. ფეტიკო, ბიძინა, თენგო, ნაზული, ლია, იზიკო, ჯუმბერი და ჯემიკო დასტირიან თავისი საყვარელი ბიძის სიცოცხლით სავსე ახალგაზრდის

ალიოშა გაჩეჩილაძის

უდროოდ გარდაცვალებას 523

სამუდამოდ გულმოკლული დედა კატუშა, მამა ვალოდია, და როზიტა სანაძეები, ბებია ვეროჩკა, ბიძა გრიშა ცოლით მარუსიათი აუწყებენ ყველასათვის უსაყვარლეს პატარა

ლ ა მ ა რ ა ს

გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 521

იორდანე გოცაძე, ელეფთერ ცერცვაძე და პროკოფი ოყრომიძე ცოლშვილით მწუხარებით აუწყებენ სახოგადოებას დაუვიწყარ ცოლის ძმის

ალექსანდრე სტეფანეს-ძე გაჩეჩილაძის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება ქ. ზესტაფონში 29 სექტემბერს 522

თავზარდაცემული დედა მარიამი ძმები, კოწია, გიორგი და გრიგოლი ცოლშვილით იუწყებიან მათთვის საყვარელ და მუდამ დაუვიწყარ

ალექსანდრე სტეფანეს-ძე გაჩეჩილაძის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება ქ. ზესტაფონში 29 სექტემბერს. 522

უნუგეშო მშობლები: ტიტუშა და ევგრაფი თოდუები იუწყებიან, რომ 30 სექტემბერს ქ. ზუგდიდის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი სამუდამოდ დაუვიწყარ

თ ი ნ ი კ ო ს (ძაბუკოს)

ხსოვნის აღსანიშნავად. 537

გაუბედურებული მეუღლე შალვა შვილებით, მშობლები: პელაგია, ელისე შავგულიძეები შვილებით ანა, ისაოხ ჩხიკვაძეები იუწყებიან, რომ სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ დედაშვილების

ქსენია და ჰენრიეტა ჩხიკვაძეების

დანიშნულია 30 სექტემბერს 5 ს. ქუთაისში ოკასკურაზე. 530

დამწუხრებული მშობლები: ნინა კონსტანტინე. ძმები დავითი, ლევანი. ვალერიანი ზურაბი რძლები: მერი, თამარი შვილით თამაზით იუწყებიან. რომ

ე ლ ე ნ ა ქ ვ ა რ ი ა ნ ი ს

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 30 სექტემბერს 1 ს. ვერის სასაფლაოზე 2—1 53

ღრმად დამწუხრებული სიძე სეიერიანი, შვილი მანია, შვილიშვილები: ერასტო თინა, ქეთინა ადამიები აუწყებენ მეგობრებს, რომ გარდაიცვალა საყვარელი

ბეჟან კოსტას-ძე ანთელავა

დაკრძალვა 28 სექტემბერს ქ. ოჩამჩირეში. 539

მშობლები თამარი და შალვა ჭეიშვილები, ბებია პელაგია, ბაბუა ალექსი ბიძები: ვახტანგი, აბესალომ მამიდები: ელენე, დარო ოჯახობით იუწყებიან, რომ 30 სექტემბერს 4 ს. სოფ. ასკანაში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელი

ნ ა თ ე ლ ა ს

ხსოვნის აღსანიშნავად. 533

კ. ქაცარავა, ნინო ძიძიგური, პ. ათხაძე, ვ. ფანცულაია, ვ. ქობულია და ალექსანდრე და აკაკი გვახარიები მწუხარებით იუწყებიან დამსახურებულ მასწავლებლის

ვალერიან მეგუკის

გარდაცვალებას. 532

მუხროვანის საბჭოთა მეურნეობის მუშამოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე მეურნეობის სამნეო ნაწილის გამგეს ბარნაბ სიხარულიძეს მისი ძვირფასი და საყვარელი გოგონას

ლიდა (კოშკა) სიხარულიძის

უდროოდ დაკარგვის გამო. 521

დამწუხრებულნი მეუღლე თინა, შვილი ზუკუკი, ბებია ფატუ, ძმა ტიტე, დები: ჰენე, ვარინკა, ქსენია ქმარშვილებით იუწყებიან, რომ 30 სექტემბერს დანიშნულია ს. ონტოფოში სამოქალაქო პანაშვიდი

ექ. ალექსანდრე ალექს.-ძე კიკაბიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 529

26 სექტემბერს გარდაიცვალა

მიხეილ ანდრიას-ძე გოგროვი

რასაც იუწყებიან დიდო, ალექსანდრა და აკაკი გოცირიძეები. გამოსვენება ბინიდან (ავლაბარი) მელაანის ქ. № 9, ავლაბრის სასაფლაოზე 28 სექტემბერს სალ. 5 ს. 528

გულმოკლულნი: დედა იულია, მამა ლეონიდე, და გულნარა ლომთათიძეები იუწყებიან, რომ 30 სექტემბერს, 5 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასის

ბ ი ბ ი კ ო ს

ხსოვნის აღსანიშნავად. 524

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი დები: ქალი ოლღა, ძმები: იულო, მუზრონი, ძმისშვილები: კალიოტრატე ქსენია ანთელავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ბეჟა კოსტას-ძე ა ნ თ ე ლ ა ვ ა

დასაფლავება ქ. ოჩამჩირეში (პარიზის კომუნის ქ. № 49). 539

დამწუხრებული დედ-მამა ფეოდოსი და ვანო ცოლი ძარგალიტა. შვილები თამაზი და მერაბი იუწყებიან, რომ 30 სექტემბერს 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

სამსონ (ჭუჭულა) მაჭავარიანის

ხსოვნის აღსანიშნავად. 525

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე გიორგი, შვილები: ოთარი დათუნა, მშობლები ლიზა, ლაზარი, ძმა კოლა ცოლშვილით ხებრელაშვილები, დები ქმარშვილით იუწყებიან ძვირფას

ნატაშა ლაზარეს ას. გოცირაშვილის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 29 სექტემბერს ს. საგარეჯოში 531

ახლობელი ამხანაგები: ჟ. ცატუროვი, ბ. გოდელაძე, ვ. ბირიუკოვი, ა. მდივანი, ა. ოსიპოვი, ე. ცეცხლაძე, პ. ათხაძე, კ. დემეტრაძე, ჟ. ჰვეტისოვი, ბ. სუსლინი, ლომაია და ბიჩენკო მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამხ. ს. მებუკის ძამა ძველი სახალხო მასწავლებელი

ვალერიან მერაბის-ძე მ ე ბ უ კ ე

538

დამწუხრებულნი: ათინა, ბაჩა, ვარია, სოსო და მერაბი მებუკენი იუწყებიან უსაყვარლესი მეუღლის, მამის და ბაბუას

ვალერიან მერაბის-ძე მებუკეს

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. ენგელსის ქ. № 25. დასაფლავება 30 სექტემბერს 12 ს. ვერის სასაფლაოზე. 543

დამწუხრებული შვილები: ნაუმი, კოლია, ოლია, დათიკო, რძალი ქეთო შვილიშვილებით: რეზო და ლიდეცია გუმბერიძეები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

ირაკლი ბარნაბანის-ძე გუმბერიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა სოფელ ობჩაში 541

გულდამწვარნი: მეუღლე ლიზა, რძალი ოლია, შვილები ივანე, ილიანე, დავითი და კონსტანტინე გეგელიები იუწყებიან, რომ უეცრად გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ნიკო ივანეს-ძე გ ე გ ე ლ ი ა

დასაფლავება ქ. ზუგდიდში 30 სექტემბერს. 535

30 სექტემბერს ს. კულაშში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ახალგაზრდა აგრონომ

ალიოშა აბესალომის-ძე ჩხაიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. რასაც იუწყებიან დამწუხრებულნი მშობლები ნატაშა, აბესალომი, ძმები შალიკო ცოლშვილით, მირიანი, კირილე და კლავდია (ლიდა). 542

ძველი ბოლშევიკთა საზოგადოების წევრები: ამხ. ბოლქვაძე ვ., კვარაცხელია მ., ტორო შელიძე მ., თოდრია ს., ჩხეიძე გ., ვაშაკიძე ვ., სოკოლოვსკი ნ., შახსუვაროვი ა., ალაჯალოვა ნ., საყვარელიძე პ. იუწყებიან რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკის, ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის დროს დაღუპულ ამხ. ნიკოლოზ ტეტიუცკიას დედა

იულია ტ ე ტ ი უ ც კ ი ს ა

გამოსვენება ძნელაძის ქ. № 24 ვერის სასაფლაოზე 28 სექტემბერს 5 ს. 527

სტამბა „კომუნისტი". კამოს ქ. 68.

მთავლიტის რწმუნებული ა 1465